საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 39 სექტემბერი 20 1898 წ. № 39

შინაარსი: საზოგადო მოღვაწეობა ნ. ყორდანიასი.—ერთი ქართველი ინჟინერი გ. ც—ლისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—„კვალის“ კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე.—*** ლექსი დ. თომაშვილისა.—საზღვარ-გარეთ.—წერილები შვეიცარიიდან დ. თოფურიძესი.—ბოსფორიდან იასე რაჭველისა და კერძო განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

№ IX „ჯეჯილისა“ გამოვიდა და დაფურიგდება ხელის მომწერლებს.

საზოგადო მოღვაწეობა.

I.

არა მგონია საზოგადო ასპარეზი ისე დაცლილიყოს სადმე მოღვაწეთაგან, როგორც ეს დღეს ჩვენში არის. არა მგონია საზოგადო საქმეს ისე ერიდებოდენ რომელიმე ქვეყანაში, როგორათაც მას დღეს ჩვენში ერიდებიან. ამ ნიადაგზე მოქმედებას, საქმიანობას, თავის ძალ-ღონის შეწირვას ყველა გაურბის, ყველა უფრთხის, ყველა გან-განზე მიიწევა. ქვეყნის ჭირი თუ ლხინი, ბედნიერება თუ უბედურება სრულებით არ შეანძრევს კერძო პირს, სრულებით არ გაუღვიძებს გრძნობას თანამოზიარეობისას და არ აღუძრავს სურვილს მოქმედებისას. ის თუ პირადათ კმაყოფილია, საზოგადოება დეე უკმაყოფილო იყოს, ის თუ პირადათ განცხრომაშია, საზოგადოება დეე გაჭირვებაში იყოს. მას საზოგადოებასთან საქმე არ აქვს და საზოგადოებას მასთან. ეს ასეთი განცალკევება, განშორება საერთო, საყოველთაოა. რა არის საზოგადო საქმე? ეს ხომ კერძო საქმეთა შეერთება, ერთ წერტილში თავის მოყრა და შეკავშირებაა. ეს კვანძია, კვანძი, რომლის უთვალავი ძაფები ცხოვრების სიღრმეში დაფანტულია. ეს ერთნაირი აუზია, სადაც პატარ-პატარა ნაკადულები გროვდება და მერე აქედან, ახალი ძალ-ღონით და ენერგიით, ისევ გადად-გადმოდის და ცხოვრების ნიადაგს ასუქებს, აუმჯობესებს და ანაყოფიერებს. ეს ერთნაირი ცენტრია, რომლის გარეშემო ტრიალებს საზოგადოება და ტრიალებს თვითეე საზოგადოებასთან ერთათ. რაც უფრო კერძო, პირადი, ინტერესი, ამ ცენტრს შორდება, მით უფრო ის ზოგად ხასიათს ღებულობს, მით უფრო ის წმინდა და განსპეტაკებულია. მოკიდეთ ხელი მას და თქვენ გაანძრევეთ საზოგადოებას, მოშორდით მას და თქვენ მოშორდებით საზოგადოებას. და აი სწორეთ ამ ცენტრისაგან მირბის დღეს ჩვენში ყველა, მირბის რაც ძალი და ღონე აქვს და თავის კუნჭულში იმალება. ეს საერთო დაშინება, ეს საერთო გაქცევა უმაღლეს წერტილამდეა ასული, ამაზე მეტი და ამაზე შორს წასვლა აღარ შეიძლება. მარა ამ ამოძრაევებასთან ერთათ აჰოძრაევდა საზოგადო საქმეც და

კ. მარქსის ს. ს. საკ. სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა

მასთან ერთათ მოკურცხლა? სრულიადაც არა, რამდენიც უნდა გაიქცეს, მთელ საზოგადოებამ, მთელმა ხალხმაც რომ თავი დაანებოს, ამით ის ოდნავათაც არ შეიცვლის თავის მდგომარეობას. ის ისევ იქ არის, სადაც იყო და იქავე დარჩება კიდეც. რამდენათ ის რთული და საჭირ-ბოროტოა, იმდენათ მას ღრმათ აქვს ფესვები გადგმული, იმდენათ ის აუცილებელი და შეურყეველია. და დღეს რომ მას ყურადღება არ მიაქციო, დღეს რომ მის წინაშე ყური მოიყრუო და თვალი დაიბრმავო, ხვალ მაინც ძალაით მიიქცევს თქვენ ყურადღებას, ხვალ მაინც ძალათ მოიცავს თქვენ სმენას და მხედველობას. და, ვინ გინდა ამ საყოველთაო მოყრუებაში მონაწილეობას არ ღებულობდეს? აქ ნახავთ, ექიმთ, ადვოკატთ, მასწავლებელთ, მოხელეთ, ბანკირთ და ასე გასინჯეთ მწერლებს და ჟურნალისტებსაც კი. ამ „მარილმა ქვეყნისამ“ მიატოვა საზოგადო მოღვაწეობა და საზოგადო მოღვაწეობამ მიატოვა „მარილი ქვეყნისა“. გაწყდა მათი შემაერთებელი ძაფი, დაიმსხვრა მათი შემაკავშირებელი რგოლი.

ამ საყოველთაო დაცემაში, ამ საყოველთაო დავარდნაში ჩვენ ვამჩნევთ სხვა-და-სხვა ჯგუფთ, რომელნიც სხვა-და-სხვა ნაირათ აწარმოებენ ამ პროცესს. მართალია თავ-თავის სოროში მირბიან, მარა მირბიან სხვა-და-სხვა ნაირათ და ეს მათ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს. პირველი ჯგუფი, რომელიც ამ „ქვეყნის მარილის“ დიდ უმრავლესობას შეიცავს, ყველაფერს, გარდა პირადი საქმისა, გულგრილათ უცქერის. მისთვის არ არსებობს რაიმე „კითხვა“, მას არ აღელვებს რაიმე საზოგადო საგანი, ის ჩინებულათ გრძნობს თავის თავს ყოველნაირ წყობილებაში. მისთვის სულ ერთია რანაირიც იქნება ჩვენი ცხოვრება, რა გზით იმოძრავებს ის, რა მხრით ატრიალდება მისი ბორბალი. როგორც კი ამაზე ჩამოუგდებ ლაპარაკს, ის მაშინვე დამუნჯდება და მით გაგრძნობინებს, რომ ეს მას არაფრათ ეჭაშნიკება. გადაიტანეთ ბაასი სხვა საგანზე და თქვენ გაგაშტერებს ამ ენა ჩავარდნილის ენა-ჭარტალობა. ამ გვარი ხალხი ყოველგან ბევრია, მარა არსად არავითარ ბრძოლაში მონაწილეობას არ ღებულობს, არსად არავითარ წყობილებას არ ცვლის, არავითარ სენს არ უმკლავდება. იქ სადაც ცხოვრება რთულია, სიცოცხლე დუღს და გადმოდის, საზოგადო ტალღები ხან-და-ხან ამათაც ჩაითრევს. მარა ისე, რომ ამყოლს მხოლოთ აჰყვებიან და ჩამყოლს ჩაყვებიან. საიმედო, გაჭირების დროს გამოსაყენებელ, ელემენტს კი არ შეადგენენ. ჩვენში კი, სადაც ცხოვრება ასე წყნარი და მოდუნებულია, ეს ჯგუფი ერთიანათ მიწასთან გასწორებულია, იმას ვერც ვერავინ აიყოლიებს და ვერც ვერავინ ჩაიყოლიებს. მისი სატრფიალო საგანია რამე ნაირათ ცხოვრებას მოეწყოს და იქ ერთი თბილი კუნჭული აიჩინოს, სხვა ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. ამიტომ, მისი დამახასიათებელი სახელი იქნება ჯგუფი „ფეხებზე მკიდია“.

მეორე ძალიან მცირე ჯგუფს შეადგენენ ეგრეთ წოდებულნი „დაღალულნი“. ჩვენ ვიშრომეთ, ქვეყანას მხარში ვუდექით, ახლა კი დავიღალეთ და დასვენება გვეჭირვებაო—ამბობენ ისინი. „დაღალულნი“ მოცილდენ საზოგადო მოღვაწეობას და ამ სიბერის დროს თავ თავის საქმეებს შეუდგენ. მარა ზოგ მათგანს ეს ერცხვინება, „საქვეყნო საქმის“ დატოვება ეთაკილება და ამიტომ თავისი კერძო საქმე საზოგადო საქმეთ გამოაქვს: აი მე კიდევ თქვენ გემსახურებითო. და საზოგადოებასაც ეს სჯერა, სჯერა იმიტომ, რომ ამას „დაღალულნი“ ღაღადებენ, და ესენი, მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ ძველი ღვაწლის პროცენტებს ღებულობენ. მარა რამდენიც უნდა გვაჯერონ, რამდენიც უნდა ვიჯეროთ, ბოლოს მაინც აშკარა შეიქმნება, რომ საზოგადო სარბიელი „დაღალულთაგან“ კაი ხანია დაცლილია. და რამდენათ ჩვენ მაღლა ავიწევით და განვითარდებით, იმდენათ განვთავისუფლდებით ილიუზიისაგან და ადრე შევიგნებთ ამ მარტივ ჭეშმარიტებას. თუ დღეს ისინი თავისი უბრალო არსებობით მაღლიდან დაყურებენ საზოგადოებას, ეს იმიტომ რომ საზოგადოება დაჩოქილია, და დაჩოქილ გმირთან ბავშიც კი დიდათ მოგვეჩვენება...

მესამე ჯგუფს შეიცავენ ისინი, ვისაც პირველი ჯგუფობა რცხვენია და მეორე კი არ ეხერხება. ესენი არ იძახიან „ფეხებზე მკიდიაო“ და არც დაღალული ვართო, ვინაიდან ჯერ საამისო არა გაუკეთებიათრა. მათ სურთ უნაყოფოთ არ ჩაატარონ თავისი ცხოვრება, საზოგადო სალაროში რაიმე წვლილი შეიტანონ, ცხოვრების სადავე ხელში დაიჭირონ. მარა ყოველივე ეს ცდა ჯერ-ჯერობით ამაოთ რჩება. საზოგადო კითხვებს ირგვლივ უტრიალებენ, ხან ერთი-მხრიდან შეახტებიან, ხან მეორიდან, ხან ვითომ სათავეშიაც მოექცევიან, ხან კი ბოლოში ამოყოფენ თავს—ერთი სიტყვით ერთ ალაგას ფეხს ვერ იკიდებენ, ერთ მდგომარეობას ვერ ირჩენენ, შესაფერ ძალღონეს ვერ იჩენენ. მათ ვერ მიუგნიათ ჩვენი ცხოვრების დედა-ძარღვი, ვერ გამოურკვევიათ მისი გზა-კვალი, ვერ დაუნახავთ მისი ამმოძრავებელი ღერძი. ამ ცხოვრებას უალაგო-ალაგას ებღაუჭებიან და, რადგანაც ხელმოსაკიდს ვერ პოულობენ, აქეთ-იქით ვარდებიან. და ასე მირბის პირველი თავისი გზით და მის გარშემო კოტრიალობენ მეორენი. ეს ჯგუფი, წინაამდეგ მისი სურვილისა, ცხოვრების კალაპოტ-

ში ვერ მოთავსებულა, ის მის გადაღმა დარჩენილა და ასე გარედმიდან ეპოტინებიან იმას, რაც შიგნით წარმოებს. ამიტომაც არის, რომ რა საქმესაც ხელს მოკიდებენ, ვერც ერთს სიცოცხლეს და ელფერს ვერ აძლევენ, მათ ხელში ყველაფერი კვდარია, ყველაფერი ულაზათო და უშინაარსოა. ხან იქით აეხეთქებიან, ხან აქეთ, ხან ამას წაატანენ ხელს, ხან იმას, მარა არსაიდან არაფერი არ გამოდის. ასეთი უპრინციპობა და უნიადაგობა ბადავს მხოლოთ სასოწარკვეთილებას და უიმედობას. კაცი ეჭვდება თავის თავში, თავის მოქმედებაში. ის იბნევა... აღარ იცის სად რა იმოღვაწეოს, სად რა აზრი გაავრცელოს, სად როგორ მოიქცეს. ის ეჭვით უყურებს თვითოეულ თავის წინადადებას, თვითოეულ თავის ნაბიჯს. მისი მოძრაობა ერთი ტანჯვა-ვაებაა, ერთ ბიჯს რომ წინ გადადგამს, ორს უკან გადადგამს. არ ჰგონია თუ მას სწორეთ გავლა შეუძლია. ეს ჰამლეტური ხალხი ვერსად ვერავითარ გადაჭრილ გზას ვერ ადგება, ვერსად თავის საკუთარ ფეხზე ვერ დგება. ის ალვის ხესავით ირხევა ხან იქით, ხან აქეთ, ხან წაღმა, ხან უკუღმა. აი ეს რხევა არის მისთვის მოქმედება და საქმიანობა! საზოგადო სარბიელი — ეს ის ალაგია სადაც აუცილებლათ საჭიროა სითამამე, მტკიცე რწმენა და პირდაპირობა. აქ თავისი აზრის არ უნდა გრცხვენოდეს, თავისი მიმართულების არ უნდა გეშინოდეს. დეე, შენი აზრი, შენი რწმენა რანაირიც გინდა იმ ნაირი იყოს, დეე რაღაც შეუსაბამოს ქადაგობდე, ოღონდ რამე კი გწამდეს, ოღონდ რამეს კი ემსახურებოდე, გწამდეს მტკიცეთ, ემსახურებოდე შეურყევლათ. განა სულ არაობას, სულ გაჩუმებას ეს არა ჯობს? დი სწორეთ ეს საზოგადო მოღვაწის აუცილებელი თვისება აკლია ამ ჯგუფის ხალხს. არც პრინციპი, არც გამბედაობა, არც საქმიანობა, მაშ რას აკეთებენ ესენი? ძნელი გამოსაცნობია, აშკარაა მხოლოთ ერთი: ისინი „დალალულთ“ შემოხვევიან და სირინოზის ხმით „შენ უფალოს“ უგალობენ. მათი ხელობა „დალალულთა“ თაყვანის ცემაა, მათი საქმე „დალალულთა“ შინა-ყმობაა. ეს არის საზოგადო მოღვაწეობა? არა, სრულიადაც არა, პირიქით, ეს არის საზოგადო გათახსირება, ეს არის საზოგადო დაერდომილება.

ამ ნაირათ, საზოგადო მოღვაწეობა სამივე ჯგუფიდან მიტოვებულია, მას სამივე ჯგუფი გაურბის: პირველი განგებ, მეორე „დაღლილობით“, მესამე კი უვიცობით, უგზო-უკლობით. ყველაზე უფრო უწყინარი ელემენტი პირველია, ყველაზე უფრო დამაბრმავებელი — მეორე, ყველაზე უფრო სასაცილო — მესამე. პირველი უნდა შეიბრალო, მეორეს უნდა გამოემშვიდობო, მესამეს კი — ასწავლო. ამ ორ უკანასკნელთა შორის მჭიდრო კავშირია. მეორეს სხივი წვდება მესამეს და თვალს უყენებს. და სანამდი ეს დაბრმავება გაგრძელდება, მანამდი მისი საკუთარ გზაზე გამოსვლა ოცნებაა. ასე თუ ისე, საზოგადო ასპარეზი დაცლილია, დაცალიერებულია, მისი ყველა კარები ღიაა და ადრე თუ გვიან იქ უნდა შევიდენ და შესაფერი ადგილები დაიჭირონ.

რა არის საჭირო იქ შემსვლელთათვის? რა ფარ-ხმალით უნდა აღიჭურვონ? რა დროშა უნდა წაიწინამძღვარონ? რა მცნება უნდა გამოაფინონ?

ნ. ჟორდანია.

ერთი ქართველი ინჟინერი.

თანამედროვე ცხოვრებამ დაარღვია ძველი, პატრიარქალური წეს-წყობილება და წამოაყენა სულ ახალი კითხვები და ახალი ეკონომიური ვითარება. ამ ეკონომიურმა მდგომარეობამ დიდ საფრთხე-გაჭირვებაში ჩააგდო საზოგადოების დიდი უმეტესობა განურჩევლათ წოდებისა. არსებობისთვის ბრძოლის ველზე დიდი და პატარა, ქალი და კაცი გამოეშურენ. მოშორდენ თავის სოფელს, თავის კერას, სადაც მათთვის ყოველი კუთხე ნაცნობი იყო, მოაწყდენ ისეთ ალაგს, სადაც უმრავლესობისთვის ენაც კი გაუგებარია. სიმშილი, სიცივე, ლანძღვა-გინება, დაპატიმრება და ყოველივე მხრივ ადამიანური ცხოვრების მოკლება საზოგადო მოვლენათ გადაექცათ. წინათ, იშვიათი მოვლენა იყო მუშების სამუშაოდან გარეკვა, პირიქით იწვევდენ კიდეც, დღეს ეს სადღაა არის, მუშის გაგდება, სამუშაოს მიუცემლობა ჩვეულებრივი მოვლენაა. ხელფასის დაკლებაზე ხომ არა გვეთქმის-რა, რადგან მუშა-ხელი ათასობით არის უსაქმოთ ამ ცვარი მდგომარეობით შეწუხებული და სიმშილისაგან იძულებული მუშა. კაცი თვისდა უნებურათ საზიზღრობასაც იდენს, რაც მეტის-მეტათ აწუხებს ზნეობრივათ და კანონიც უარეს დღეს აყენებს, მარა ცარიელი კუჭი განა ნებას მისცემს ნამდვილი თვალით შეხედოს ცხოვრებას? ის მარტო ჩამოყარეს იასხის, რით, როგორც გინდა, მხოლოთ კი ჩამოყარე, ჩამოყარეო!

აი, ამ შინაურმა მტერმა მუშათა ხელი თუ წინათ სოფლებს მოაშორა და ახლო-მახლო ქალაქებში გადმოყარა, დღეს, ამ შეჩვეულ ქალაქებიდანაც აღებია ხელი და გარეკა სულ შორს, უცნობი — უცნობს ალაგას. ქართველი მუშები სიცივესაც არ შეუშინდენ, ბევრი გაეშურა შავის ზღვის ნავთსადგურებზე, იქნება იქ მაინც არ გვიმტყუნოს ბედმაო, მარა იქ კიდევ უარესი დღე დაადგათ, გადაჭარბებულმა მოქმედებამ მოიჯარადრისამ — არა ერთი და ორი შექმნა მსხვერპლი უბედურებისა და არა ერთ-ორ-

ხელ გამოუთქვამს ჟურნალ-გაზეთობას მათი მოქმედება, რასაკვირველია ძლიერ მკრთალათ. ამიტომ რამოდენიმე ისევ წასვლა არჩია, უკანასკნელი მათი იდეალი აღმოსავლეთი შეიქმნა, სახელდობრ მდ. ამუდარია, სადაც ახლა ხიდს აკეთებენ ინჟინერ—ქეს მეთვალყურეობით და ათასობით მუშა-ხელიც საჭიროა, (აგრეთვე ქ. კერკი, ქ. პატაკისტარი და ავგანისტანის სამზღვრები). საუბედუროთ, აქაური ზნე-ჩვეულება და ენა-სარწმუნოება ქართველ მუშათათვის სიზმრათ წარმოუდგენელიც შეიქმნა. ყოველი რიგიანი საქმის ხელის მოკიდებას ფული უნდა, ან სანდო პირი ამათ კი გარდა ორიოდე გროშისა დღიური საზრდოსთვის არაფერი გააჩნდათ. მდ. ამუდარიაზე კი კარგა საქმეები იშოვებოდა დღიურათაც და ნარდათაც, რისთვისაც უნდა მიემართათ ინჟინერ —ქესთვის; დიდ რჩევას შემდეგ გადაწყვიტეს დეპუტაციის გაგზავნა —ქესთან და გაუგზავნეს კიდეც, დეპუტაციამ თავისი დანიშნულება შეასრულა, ხოლო მიღება კი ურიგო იყო. პირველმა სალამმა უპასუხოთ ჩაიარა, მხოლოთ ასე შეეკითხა: „что тебѣ нужно“. მე, ბატონო, თქვენთან... проваливайся... здѣсь по собачій не говорятъ, говори по человѣческій! ამის მომსმენი დეპუტაცია, მიხვდა რა კაცთანაც ჰქონდა საქმე, გამობრუნდა გულ დაწყვეტილი და ისევ ძველ ხელობას მიჰყო ხელი, ე. ი. ალაგიდან ალაგის გამოცვლას.

ნუ თუ, ჩემო მკითხველო, ერთხელაც არ მისცემენ ანგარიშს თავის თავს ის პატივცემულნი პირნი, რომელნიც ხსენებულ ინჟინერ —ქეს, არაფრით არ ჩამორჩებიან ზნე-ჩვეულებაში? მაშ ისევ ჩვენ მაკაქციოთ, მოძმევ, ყურადღება იმათ მოქმედებას და საუკუნოებს გადავცეთ მათი მოღვაწეობა. აჲ თქვენ, ჩემო მკითხველო, ჩვენი, უმეტესობის, ბედი და იღბალი.

დასასრულ, მადლობის ღირსია ბ. —მე, რადგანაც, მის ყოჩაღობას და მოქმედებას, განა იმისთვის დაამთავრა კურსი, რომ სამშობლო ენისთვის მაღლის ენა ეძახა?..

გ—ი ც—ლი.

ბათომი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ხუთშაბათს, 17 სექტემბერს, თფილისში ჩამობრძანდა მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილისძე. ქალაქი დიდის ამბით დაუხვდა. ყველგან ბაირაღები იყო გამოფენილი და ქუჩები ხალხით გატენილი. საღამოს უმთავრესი ქუჩები გაჩირაღდნეს.

—

ყვარელის სკოლის მასწავლებლათ ნამყოფ დუმბაძის საქმე დანიშნულია განსახილველათ სამოსამართლო პალატაში 31 ოქტომბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს [illegible] ურთავს ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის დაბალი ხარისხის სამეურნეო სასწავლებლათ გადაკეთებაზე. ახლა ეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს საქმეა ამაზე გამოთქვას თავისი უკანასკნელი აზრი. ეს კითხვა თურმე „ახ. მიმოხ.“ სიტყვით თვით ოზურგელებს აღუძრავთ.

—

ამას წინათ ჩვენ მოხსენებული გვქონდა ბოზარჯიანცის ფაბრიკის მუშების—მამულოვის და გრუზელაძის—საქმე. მათ ბრალდებოდათ მოკვლა ერთი მუშისა, რომელმაც მუშათა გაფიცვას უღალატა და ისევ მუშაობა დაიწყო და სხვებსაც დააწყებია. ოლქის სასამართლომ მათ მიუსაჯა ციმბირში გაგზავნა საცხოვრებლათ. ამის წინაალმდეგ პროკურორმა პროტესტი შეიტანა პალატაში და პალატამ 15 ამ თვეს ათ-ათი წელი „კატორღა“ გაუჩინა.

—

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში შემოუღიათ სწავლის ფული —ათ-ათი მან. წელიწადში. ამ ფულით მეორე განყოფილებას მოემატა პარალელური განყოფილება, სადაც სწავლა 16 ოქტომბერს დაიწყო. მასწავლებლათ მოუწვევიათ პ. სურგულაძე და ი. ნიკოლაიშვილი.

—

ძველ-სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის მესამე მასწავლებლათ დანიშნულ იქმნა თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის აღმზრდელი ი. გომელაური.

—

განჯის გუბერნიაში ყოფილა 1,761 ზავოდი და ფაბრიკა, სადაც მუშაობენ 8,724 კაცი და ამუშავებენ 3.308,447 მანეთს საქონელს წელიწადში. ზავოდებია ღვინის დაყენების, სპილენძის სადნობი, აბრეშუმის ძაფის სახვევი და სხ. („კავკაზი“).

—

იმავე გაზეთის სიტყვით შორაპანში არსდება „ფოთი-ჭიათურის მარგანეცის დასამუშავებელი მეტალურგიული საზოგადოება“. პროექტი უკვე წარუდგენიათ სამინისტროში დასამტკიცებლათ.

—

რუსული „სავაჭრო სამრეწველო გაზეთი“ წერს: „პარკის მოსავალმა ქუთაისის გუბერნიაში გადააჭარბა წასული წლის მოსავალს. წელს მოვიდა 60 ათასი ფუთი პარკი. მოსავალი 80 ათასამდის იქნებოდა, რომ ავდრებს ხელი არ შეეშალა და აბრეშუმის ჭირს სენი არ გაეჩინა. ზიანი მოიტანეს თვით მეაბრეშუმეებმაც იმით, რომ პარკი აიღეს სრულ დამწიფებამდი. ნახევარი ყვითელი პარკია და ნახევარი თეთრი. პარკი ძალიან კარგი თვისებისაა. $3^1/_5$ - $3^1/_2$ გირვანქა მშრალ პარკს ერთი გირვანქა აბრეშუმი

გამოდის. ფასი თეთრი გამშრალი პარკისა 55—56 მანეთია ფუთზე, ხოლო ყვითელის 56—57 მ. 20 ათასი ფუთი იყიდეს ამიერ-კავკასიის აბრეშუმის ფაბრიკებმა, 40 ათასი ფუთი გაიტანეს მარსელში, სადაც კილო ($2\frac{1}{2}$ გირვანქა) 3 მან. 35 კაპ. 3 მან. 42 კაპეიკამდი იყიდება. მეაბრეშუმეების გაძლიერებას მოჰყვა თესლის კეთებაც. გარდა ზუგდიდის მაზრისა, სადაც არსენიევის სათესლე დაწესებულებაა, საჯავახოშიაც დაიწყეს და აზრათ აქვთ 12 ათასი მისხალი ევროპიის ყვითელი ჯიშის თესლი გამოიყვანონ. მომავალ წლისათვის რამდენიმე ფირმამ უკვე შეუკვეთა 180 ათასი მისხალი თესლი (ყვითელი ჯიშის) სამხრეთ საფრანგეთის ფირმებს".

—

პეტერბურგის ახლოს, ერთ მუშათა უბანში, შეუდგენ უზარ-მაზარ შენობის აგებას, რომლის დანიშნულებაა მუშა-ხალხს სხვა-და-სხვა გასართობები შეაწიროს. აქ იქნება გამართული წარმოდგენები, კითხვები, ცეკვა-თამაშობა და სხ. ამასთანავე სამკითხველო, საჩაიე, სასადილო და სხვ. ერთი სიტყვით ნამდვილი სახალხო სახლი იქნება.

—

ქუთაისში განუზრახავთ ,,მეპურეთა საზოგადოება'' დაარსონ.

—

ერთ უცნობ პირმა თფილისის სახალხო თეატრის შენობის ასაგებათ 4 ათასი მანეთი შემოსწირა. ამით სულ ამ საქმისთვის ათი-ათასი მანეთია მოგროვილი.

—

დღეს, 20 სექტემბერს, ავჭალის სახალხო თეატრში გაიმართება ამ სეზონში პირველი სახალხო ქართული წარმოდგენა. ითამაშებენ ,,ციმბირელს''.

—

სადგურ მარელისიდან გვწერენ: ცამეტ ენკენისთვეს მდინარეში საბანაოთ ჩასულიყო ცამეტი წლის ყმაწვილი არჩილ მაღრაძის შვილი. ცურვაში ხელი შეშლოდა და წყალს დაეძირა. მაშინვე მიეშველენ, მარა უკვე დამხრჩვალიყო.

—

25 ამ თვეს დანიშნულია სათავად-აზნ. ბანკის სადგომში დრამატიული საზ. საგანგებო კრება. კრების საგანია გამგეობის 5 წევრის არჩევა.

,,კვალის'' კორესპონდენციები.

ტ. სოხუმი. იყო დრო - და მას აქეთ არც ისე დიდი ხანი გასულა — როცა ეს მიდამო, სადაც დღეს გვარიანი მოზდილი ქალაქია გაშენებული, ბრძოლის ველათ იყო გადაქცეული და აქაურნი მკვიდრნი მრავალ მტერს მედგრათ უხვდებოდენ. მაგრამ დრო იცვალა, სოხუმი აფხაზეთს გამოეყო [1]) და ახალ პირობებში ჩადგა; ის სხვა-და-სხვა ხალხმა და თვით აქაურებმაც სავაჭრო სადგურათ გაიხადა და დღეს იმ ზომამდე მიაღწია, რომ ნაქებ ქალაქსაც უკან არ ჩამორჩება. ყველა ამას ხელს უწყობს ადგილობრივი მდებარეობა. და მართლაც, რომ შვენიერი სურათია: შავი ზღვის პირათ დიდი გაჭიმული ვაკე, მარჯვნით ერთ კუთხეზე შვენიერი კოპწია და ახალ გეგმაზე გაშენებული ქალაქი, მახლობელ ადგილებში გამოუვლეველი ტყე და მაღალი გადმოყუდებული მთები, რომელშიაც თან-და-თან ჩნდება მრავალი სხვა-და სხვა მადნები და სხვა... ეს გარემოება ყველასათვის მოსაწონია, მაგრამ შინაურობას, რომ გადავავლოთ თვალი, დაუკვირდეთ ხალხს, იმის ცხოვრებას და სწავლა-განათლების საქმეს, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ მხრივ სოხუმი ძალიან დაქვეითებულია; აქ ქართველს — ქართველობა აღარ ეტყობა, სამშობლო ენა და ლიტერატურა თითქმის გამქრალა და არც არავის გული შესტკივა ამაზე. ამოდენა ქალაქში, სადაც სამ წილზე მეტი ქართველობა იქნება, ერთი ბიბლიოთეკაც კი არ არსებობს, წელიწადი ისე გაივლის, რომ ერთი ქართული წარმოდგენაც არ გაიმართება; ქართულ ენაზე ღვთის მსახურება, რაც ასე საჭიროა ამოდენა ქართველობისათვის, რომლის მეათედ ნაწილსაც არაფერი გაეგება სხვა ენისა, აქ არ არის და სხ.-და-სხ.

აქ მუშა ხალხის დიდი მოძრაობაა. რომელი ქვეყნის კაცი გინდათ, რომ არ შეახვდეთ. ზოგი ტყეში მუშაობს: ერთი ხეს ჭრის, მეორე ამზადებს, მესამე წყლით ეზიდება და სხ. [2]), ზოგი სხვა-და-სხვა „ზავოდებში“ და „სააგენტოებში“ მუშაობენ და ზოგნიც თითონ ქალაქში. ყველგან მუშა თავისუფლებას და შესაფერს შრომის ფასს მოკლებულია, ამას ზედ — ერთვის კიდევ აუცილებელი ციებ-ცხელება; აქ მომუშავე ხალხი თუ სხვა აქ მყოფი ასეთ ციებ-ცხელებას ვერ გადაურჩება ბრჭყალებ ჩაუკიდებელი, და, მერე რა გგონიათ, მოინელებს კაცი ან წამლით და ან მოშორებით თუ?! ორი და სამი წელიწადი გაწვალებსთ, ზოგს მუცელზე გაბერავს, გა-

[1]) ეს მხარე რასაკვირველია, დღესაც როგორც წინეთ აფხაზეთის ნაწილს შეადგენს.

[2]) აქ ერთი დიდი მთა (კოდორის ხეობა, მაქსიმოვს აქვს აღებული იჯარით, საიდანაც გზავნის ხე-ტყეს როგორც კავკასიაში, ისე რუსეთშიაც და უმეტესი ნაწილი მუშა ხალხისა აქ მუშაობს.

უჩენს ტულიპს და ზოგს ჭლექსაც კი უძღვნის. ამ ცუდ-ცხელების მიზეზათ შეგვიძლია დავასახელოთ ის გარემოება, რომ ზღვის სიახლოვის გამო, ძალიან გავრცელებულია გუბეთ დამდგარი წყლები. გზაში, სახლ ქვეშ, ეზოში, მინდვრებში და სხვაგანაც მუდამ გუბეები დგას; ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ზაფხულში გადაჭარბებული სიცხეებია და ზამთარში თოვლი და ყინვა არ არის, რის გამოც ჭაობებს მავნებელი სუნი აქვს, ჰაერი იწამლება და სახლებიც ნოტიოთ გაჟღენთილია. ამას დაუმატეთ ისიც, რომ სასმელი წყლებიც ვერ არის რიგიანი და თქვენ წარმოიდგინეთ აქაური ხალხის ჯანმრთელობას.

ჟურნალ-გაზეთები ხშირათ გვატყობინებენ, რომ აქეთ ელექტრონის რკინის გზა ჩამოივლისო. აქ ამის შესახებ ჯერ-ჯერობით არავითარი მოძრაობა არ არის, მაგრამ ყველა კი იმედოვნებს ეს ბედნიერება მალე ეღირსება სოხუმსო. თუ მართლა ასე მოხდა ეს ერთი ორათ დააწინაურებს ამ ქალაქს და მასთან ერთათ სოფლის ხალხსაც წელში წამოწევს. სოხუმს ძალიან აწუხებდა „ბუხტის" უქონლობა, ახლა უკვე შედგომიან მის კეთებას და მალეც დაასრულებენ. ბულვარი კი გლახა დღეშია, ისეთაც ვიწრო, ახლა სულ შეუვიწროებია ზღვის ტალღებს და მის გაფართოებაზე არავინ ზრუნავს.

ა—რე ხაბულიანი.

—

სოფ. ფარცხმა (გურია). ჩვენ — ყველას — ხორცში მყოფთ ადამიანთ სხვა მრავალ-ცოდვათა შორის დიდგულობა და მეტიჩურ-ტრაბახობაც გვჭირს. ამ სენს, ჩვენ ფარცხმელებში თითქოს უფრო მაგრა გაუდგამს ფეხი. ფარცხმელები ყველა ამას გაიძახიან: „ჩვენ ძაან განათლებული ვართო. ჩვენში არის დაბა ჩოხატაური, აქვე არის სამსაჯულო, ერთი ბოქაული, საავათმყოფო, ავთიაქი ფოჩტა, სატუსაღო და სხვა დაწესებულებანი, გვაქვს სამინისტრო და სამრევლო სკოლა და მოდი და ამის მნახველი ხალხი ნუ იქნები განათლებული.

მაგრამ საუბედუროთ ჩვენდა, ვინც დააკვირდება (დიდი დაკვირვებაც არ უნდა) ჩვენი სოფლის ცხოვრებას, დარწმუნდება, რომ ჩვენი ფარცხმა არა თუ ასკანაზე და თვით „ბლიყვიან" სურებზე, არამედ მრავალ და მრავალ გურიის კუთხეებზე დაბლა დგას როგორც ეკონომიურათ, (უფრო ეკონომიურათ) ისე გონებრივათაც და ზნეობრივათაც. მიზეზები ჩვენი ასეთი დაქვეითებისა მრავალია.

ფარცხმის სოფლის საზოგადოება სხვა სოფლებთან შედარებით ძლიერ პატარა არის, მაშინ როდესაც ჩვენ მეზობელ საზოგადოებებში 400 500 კომლამდე იქნება, აქაური მცხოვრებნი არ აღემატება 200 კომლს. თუმცა ამ საგანზე არა ერთხელ იყო აღძრული კითხვა მთავრობის წინაშე, რათა გაედიდებიათ ფარცხმის საზოგადოება მეზობელ სოფლელების ანგარიშზე, მაგრამ, რადგან ჩვენი სოფლის მმართველობის სათავეში ვერ დგანან ისეთი პირნი, რომელთაც შეეძლოთ საქმის ბოლომდი მიყვანა, ეს კითხვა—კითხვადვე დარჩა. რაც შეეხება „ფოშტის ფულის" გარდა სხვა რამე ბეგარას, ეს ბეგარა ყველაზე მეტი ხვდება ამ ყველაზე უმცროსს ფარცხმას. აქ, როგორც წინეთ მოვიხსენიე, არსებობს ბევრი სახემწიფო დაწესებულებანი, აქვე გადის გზატკეცილი, და ისე კვირა როგორ გაივლის რომ ერთმა-ორმა „ჩინოვნიკმა" ან ჩინოვნიკის მეგობარმა ხშირათ ცოლ-შვილით არ გამოიაროს აქ, და ფარცხმას მამასახლისმა მისი მოხელეებ-ით უნდა ირბინოს სოფელ-სოფელ ხარ-ურმის და ცხენების მოსანახავათ, . ხშირათ იძულებული ხდებიან მუშაობ-ს დროს წაართვან საწყალ გლეხს ხარები და ცხენები. ამას რასაკვირველია შემაფერხებელი გავლენა აქვს ჩვენ მუშა გლეხის ცხოვრებაზე. მით უმეტეს რომ აქ ხუთ გლეხში ძლივს ერთი იქნება იმისთანა მარტო საკუთარ თავის მიწაზე შეეძლოს საყოფი სარჩოს მოყვანა, უმრავლესობა კი იძულებულია სანახევროთ აიღოს სხვისი მიწა სამუშაოთ სადმე შორს, ხშირათ რიონის პირსაც კი. სხვის ადგილში მომუშავე გლეხმა თუ საყოფი სარჩო მოიმუშავა, იმისთვისაც ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს, თვარა, გასაყიდი სადღაა. ძლიერ ცოტაა ისეთი, რომელსაც 10 15 მ. სიმინდის გაყიდვა ეხერხებოდეს. მთელი მისი სიმდიდრე და შემოსავალი აი ეს სიმინდი და ღომია, აგრეთვე ოდესაც ღვინო, რომელიც ბევრს სამყოფიც არ აქვს, არამც თუ გასაყიდი. ამ უკანასკნელ წლეებში აბრეშუმის მოყვანას მიჰყვეს ხელი, მაგრამ უცოდინარობ-ს და ხშირად ბჟოლის უქონლობის გამო, ჯერ-ჯერობით ვერაფერი სარგებლობა ნახეს. მით უმეტეს რომ ქალები (რომელნიც ჩვენში აკეთებენ აბრეშუმს) ხშ-რათ კაცებს არც-კი აჩვენებენ აბრეშუმში აღებულ ფულებს, იმავე დღეს დაბა ჩოხატაურში გარბიან დ იქ ტოვებენ კაბის დ ფეხთ-საცმლის საფასურათ. პირველ შეხედულობით დ. ჩოხატაურის სიახლოვე კიდეც უნდა შეელოდეს ქონებრივათ, რადგან ამ დაბის შემწეობით იმათ შეძლება აქვთ თავის ნაწარმოები „ეზოში" გაყიდონ... მაგრამ ნამდვილათ კი წინაამდეგს ეხედავთ. აქ იციან პარასკევობა, სადაც 20—40 გამყიდველში ორს თუ ნახავ ფარცხმელ ბავშს, რომ რამე ჰქონდეს გასაყიდი, სხვა სულ მეზობელ სოფლებიდან არიან, მყიდველნი კი ისევ ფარცხმელებია. საბალახოს უქონლობის გამო აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაურ პირუტყვებს ძალიან ცოტას ინახვენ და ისევ თუ ვინმეს რამე ორი კაპეიკი აქვს სხვა სოფლიდან ჩამოყვანილ ინდოურს, ქათმებს, ყველს და სხვ. ყიდულობენ. რაც შეეხება განსაკუთრებით ჩოხატაურს, მისი ნისიის საშიშარი ზრდა დიდათ ცნობილია. ჩვენს სილარიბეს რამე ეშველებოდა, რომ კარგი მოთავეები გვყავდეს. მამასახლისი კარგი სინიდისიანი და პატიოსანიც რომ იყოს რა გამოვა, თუ გამოუცდელი, უსწავლელია და მის სოფელს გარეთ თავი არ გაუყვია. ჩვენში მამასახლისათ ირჩევენ ვისაც ბედმან არგუნა ტანის სიდიდე, და კაი „ლარლილი“.

რაც შეეხება სწავლა-განათლებას, უნდა გამოვტყდეთ, რომ კიდევ სხვებმა გაგვასწრეს. მაშინ როცა ჩვენ მახლობელ სურებში (რომელსაც ჩვენ ახლაც სასაცილოთ ვიგდებთ) 20—30 არიან ნასწავლი ყმაწვილები, საშუალო და დაბალ სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი, ჩვენში ასეთები იქნება სულ 5—6. ჩვენ გვაქვს ერთი სამინისტრო სამ განყოფილებიანი სკოლა, რომელშიაც დაარსების პირველ წლეებში 70-100 ყმაწვილები იყვენ, ამ უკანასკნელ წლეებში კი 40-50 მეტი არ არის. სწავლება კი ამ სკოლაში მუნჯური მეთოდის წყალობით სუსტათ მიდის მიუხედავათ მასწავლებელის მუყაითობისა. შარშან მოინდომეს ორ კლასიანი სკოლის დაარსება, სოფელმა „პრიგოვორიც“ შეადგინა, წარადგინა სადაც ჯერ არს, მაგრამ როგორც სხვა რამემ ამ საქმემაც ჩვენი დაუდევრობის წყალობით ტკბილათ მიიძინა. არის ჩვენში აგრეთვე ორი სამრევლო სკოლა, მარა ისინი თითქმის ფორმალურათ არსებობენ. მათის წყალობით ზოგი სალდათ ბას იცდენს, და ზოგიც პრიჩეტნიკობას და მომავალ ჯამაგირს ირჩენს. და რასაკვირველია სწავლებაც ამის დაგვარათ მიდის...

აგერ ოთხი-ხუთი წელიწადი იქნება ჩოხატაურში გაიხსნა უფასო სამკითხველო. ერთ წელს შემდეგ ამ სამკითხველომ წევრების და ჩოხატაურლების დაუდევრობით მიიძინა. წელს ცოტა თვალები აჭყიტა, და თითქმის ყველა ქართული ჟურნალ გაზეთები აქვს. წიგნები კი ცოტა არის. ამ ბიბლიოთეკას აქაური „ინტელეგენტთ“ გარდა ისევ ჩოხატაურლები თუ სარგებლობენ, თვარა სოფლები კი არაფერს.

ბ—ჯ—ა.

—

დ. ყვირილა (იმერეთი). ბევრი მელანი და ქაღალდი დაიხარჯა იმის შესახებ, რომ დ. ყვირილას პატივი აეხადა, რაც შავი ქვის წყალობა მოაკლდა ჭიათურაში რკინის ლიანდაგის შეყვანითო, ყვირილის შავი-ქვის მწარმოებლები გასაწყლდენო, ყვირილა ღორის ბუნაგს დაემგსავსა და სხვ. მარამ დ. ყვირილაში ალებ-მიცემობას, მრეწველობას, ვაჭრობას თავისი ჩვეულებრივი დუღილი არ შეუწყვეტია; ერთხელვე აღორძინებული ვაჭრობა თითქო დუღდა და გადადუღდა და ეს გადადუღება ვერ შეაკავა ვერც შავი-ქვის ყვირილაზე გზატკეცილით ტრანსპორტის შესუსტებამ და ვერც იმ 1895 წლის სახსოვარმა წარღვნამ, რომელმაც 1/3 ყვირილისა წაღეკა და გააოხრა. ძლევა-მოსილობა ერთხელვე შეგროვილი ფულისა უფლებაში შევიდა და საქვეყნოთ გამოაშკარავა თვისი არსებობა. მართალია ძველმა უბანმა წაიბორძიკა, მარა მეორე ალაგას უფრო კოხტა და სიცოცხლით სავსე უბანმა იჩინა თავი და ახალი სიცოცხლით გამოაფხიზლა ყვირილა. ეს სიცოცხლე დასურათდა — პარტიების გამოხოხორიკებით. მომაკვდავი უბნის და ახალი უბნის მეპატრონეები მთელის თავ-განწირულობით შეეჯახენ ერთმანეთს. ერთი პარტიის მისწრაფება არის: ყოველგვარი ღონის ხმარება მისთვის, რომ მაინც და მაინც ძველ უბანს იქით სავაჭრო შენობეები არ გაშენდეს, ამით ის ელის დაკეტილი დუქნების გაღებას. ამისთვის უნდა, რომ შეირჩინოს ჯერ დაუწესებელი „ბაზრობა“ თავის შენობების წინ; ხოლო მეორე პარტიას უნდა ამ „ბაზრობის“ წაღება და დაარსება ძველ სავაჭრო უბნის გარეთ. ამიტომ მეორე პარტიელები პირველ პარტიელებს, ძველ-უბნელებს, „ბუნტოვშიკებათ“ მიაჩნიათ და მათი მომხრენი კანონის და სამართლის მოღალატეებათ. მეორე პარტიას კი თავი უფრო მოაქვს თავის სახლით, ახალ საბაზრო ადგილ-მოედანის აჩენით, ახალი ქუჩების გახსნით, ყვირილის მოსალოდნელ განვითარებით და ბოლოს ყვირილის ქალაქათ ქცევის იმედით. არამც თუ მარტოკა თავისთვის, არამედ თავის მოპირდაპირის სასარგებლოთაც. ასე რომ, როცა აქ ქალაქი გაიხსნება, ყვირილას გარეშემო მდებარე სოფლებიდან ურიცხვი მცხოვრები ჩამოესახლება იმ აზრით, რომ მოქალაქის სახელი და ახალი უფლებები მიიღოს. მაშინ აწ უკვე სიკვდილისაკენ მიმავალი ძველი უბანიც ამ ჩამოსახლებულებით განახლდება და გაცოცხლდება. ეს პირველებს, რასაკვირველია, არ ჯერათ,

ასეთ დავიდარაბამ ბევრს „დანოსების“ მადაც გაუღვიძა. 12 მარიამობისთვეს, ძველ უბნელების „დანოსების“ სიყალბე დაამტკიცა საგუბერნიო ექიმის თანაშემწის გამოძიებამ. რომ ახალ უბნელების აზრი ყვირილის „პოსადათ“ ქცევისა უსაფუძვლო მისწრაფება არ არის იქიდან ჩანს, რომ ახალმა მაზრის უფროსმა ბ. ნეტეაჩევმა გამოაცხადა: დარბაზი იშოვეთ და ყოველ შაბათს საღამოზით ვილაპარაკოთ ხოლმე

დ. ყვირილის ყოველ გვარ საჭიროებაზე, გაუმჯობესობაზე და ბოლოსაც „პასადთ“ გადაქცევის პროექტის შემუშავებაზედაო.

რაც შეეხება პარტიებს, მათ ეურჩეეთ, რომ განზეთქილებას თავი ანებონ და ყვირილის საქმე ერთად მოაწყონ. დრო და გარემოებასთან ადმინისტრაციაც წყალობსთ და ხელს შეეწყობს. თუ ყვირილა „პასადი“ არ იქნა, ბაზრობის დარჩენა თუ გადატანა ძველ-უბნის გამ-ობრუნებას ვერ უშველის და ახალ-უბანს ვერ აიცდენს.

ს. ბ-ჩ-ნ-ძე.

კვირიდან კვირამდე

შიდა გამოსტუდენტდა—კანონ-ტის დ-ცემა—მოკვდებული ბულვარი—სიტ-ყვა და საქმე—ერთი ახირებული „კონ-ცერტ“—ნურს გაიკვირვებ!—

ᲝᲛᲘᲗᲘᲗᲐ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲖᲔ ᲐᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲔᲡ, ᲘᲨᲕᲘᲗᲘᲗᲐ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲢᲠᲤᲝᲓᲔᲡ. ᲛᲔᲖᲝᲜᲑᲔᲚᲘ, ᲜᲐᲪᲠᲝᲑᲐ, ᲛᲢᲠᲘ, ᲛᲝᲛᲣᲐᲠᲐ—ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲘᲜᲘᲨᲜᲔᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲤᲣᲐᲪᲣᲠᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲕᲔᲬᲘᲝᲗ, ᲡᲬᲐᲚᲐ ᲒᲐᲜᲔᲒᲠᲫ-ᲑᲘᲝᲗᲗ. ᲐᲣᲡᲠᲣᲚᲚᲐ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲜᲐᲢᲠᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔ-ᲚᲚᲘ ᲣᲙᲔ ᲣᲛᲐᲚᲚᲣᲚ ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘᲐ, ᲣᲙᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲐᲚᲔᲑᲡ. ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲯ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲕᲘᲮᲐᲠᲘᲐ, ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲔᲑᲡ, ᲩᲐᲛᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ „ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲝᲡ“. ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲪ, ᲕᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲔᲠᲗ-ᲝᲠᲗᲔᲚ ᲛᲐᲜᲘᲪ ᲙᲘ ᲝᲠᲪᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲫᲔᲑᲓ. ᲐᲘ ᲐᲡᲔ ᲕᲐᲠᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲠᲗᲗᲐᲡ ᲢᲐᲑᲘᲚ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲐ, ᲔᲡᲔᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘ, ᲨᲐᲣ-ᲖᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲘ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲜᲠᲘᲡ, ᲛᲐᲠᲐ ᲓᲐᲐᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲤᲘᲩᲘ ᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲘᲡ ᲝᲪᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲣᲪᲘᲠ „ᲡᲐᲛᲘᲡ ᲙᲐᲪᲐᲗ“ ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲪᲐ. ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲯᲐᲗᲔᲚᲘᲔᲠᲘ ᲩᲐᲤᲐᲗᲔᲚᲘᲔᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲨᲔᲕᲔᲠᲩᲐ —ᲒᲘᲜ? ᲜᲘᲥᲘᲢᲘᲜᲘᲩᲘ — ᲫᲘ! ᲐᲑᲚᲐᲪᲐᲢᲘ — ᲨᲔᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮ. ᲐᲡᲔᲗᲔᲑᲘ. ᲨᲔᲘᲗᲘᲗ ᲬᲘᲙᲘᲗᲮᲐᲓᲔᲗ ᲐᲛ ᲜᲘᲜᲬᲘᲜᲔᲠᲘᲡ ᲓᲔᲣ-ᲒᲘᲠᲜᲝᲑᲐᲡ. ᲠᲐ ᲘᲡᲬᲐᲚᲔᲗ ᲛᲐᲜ ᲜᲔᲢᲐᲯ ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ? ᲜᲣ ᲗᲣ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲔᲖᲝᲜᲑᲔᲚᲡ, ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲝᲡ ᲙᲐᲠᲐ ᲣᲜᲓᲐᲗ? ᲜᲣ ᲗᲣ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲔᲠᲐᲡ ᲨᲔᲣᲠᲩᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲜ ᲨᲔᲣᲤᲣᲠᲗᲮᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲠᲘᲔᲑᲐᲗ? ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲘᲠᲩᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲡᲬᲐᲚᲘᲗ, ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ? ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ „ᲙᲐᲪᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲚᲘᲗ“? ᲨᲔᲠᲩᲘ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲡᲗᲘᲐ ᲒᲐᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲘᲡᲔ ᲐᲡᲗᲘᲐ „ᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲚᲘᲗ“!

***

და როცა ასეთ ეაე-ბატონს ზოგ ჩვენ „მოღეა-წეთ“ შეადარებთ რასაკვირველია ესენი ბუმბერაზებათ გამოჩნდებიან. მარა ეს ბუმბერაზობაც ჰაქის ფეხებზე არის დაყრდნობილი და ხელის მიკარებისთანავე წკრიალი გაეეს, ეტყდებიო. რაიმე საზოგადო საქმეში ჩაბმა ყველას უნდა, სახელი და ქება-დიდება მეკნეაო, მარა როგორც კი რამის გაკეთებას მოთხოვ, მაშინვე ერთ დაიდარაბას ატეხენ: ეს რა ჩვენი



ᲓᲔᲓᲐ-ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲒᲠᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ).

საქმეაო! არ გეკერთან? აი დრამატიული საზოგადოების გამგეობა. მის უმრავლესობამ საზოგადო კრებას განუცხადა წარმოდგენების გამართვას ვერ ეიკისრებთო. რატომ? იმიტომ რომ აკლია, მზათ არა ვართო! და რადგანაც ეს შვიდი არჩეული კაცი უსაქმოთ რჩებოდენ, კრებამ ყური არ ათხოვა მათ სიზარმაცეს და წარმოდგენების გამართვა დაიალა, ტუ ულოთ ყოფნას ეს სჯობსო. მაშინვე ზეზე წამოხტენ სეირნობის პატრიოტიალენი და „ოტსტავკა“ შემოიტანეს, სამსახურს თავს ვანებებეთ ო. დაეცა კაბინეტი! ცარიელ-ცარიელი პორტფელები გადმოგეყარეს, ვისაც უნდა იმას ჰქონდესო. ის იყო ერჩებოდით ძალლის საჭმელით, რომ ვიღაცამ დაიძახა: აკი შემონახული გეყავს ასეთი გაჭირვების დროისთვის კაცები. მოგეცეთ სიცოცხლე, ხელი ვსტაცეთ ამათ და თითო დაგლეჯილი პორტფელი ჩამოურიგეთ, საუბედუროთ ერთი კაცი მაინც დაგვაკლდა. შედეგ ღრეობითი კაბინეტი.

***

თფილისის „კაბინეტი“ დაეცა იმიტომ რომ არას აკეთებდა, ხოლო ქუთაისის დიქტატორის დაცემა სდომებიათ იმიტომ, რომ ნამეტან ბევრ საქმეს აკეთებსო. და ბევრი საქმე, მოგეხსენებათ, ქუთაისში ვერ დაეტევა. ასე გვარწმუნებს ეს ორი კვირაა ერთი ქუთათური „ილი“ „ახ. მიმოხ.“ ფურცლებზე. არა, რაღაც დიდი ჯადო-ქარი უნდა ტრიალებდეს ქუთაისის ბულვარზე; მას შემდეგ რაც აქ ლოლუას ამბების ჩხრეკა დაიწყეს, ვინ იცის რა და რა ცვლილება არ მოხდა ქვეყანაზე, რა და რა საიდუმლო ამბები არ აღმოაჩინეს, რა და რა ბნელეთი არ გააშუქეს—ერთი სიტყვით ბევრი, ბევრი რამეები გამოირკვა, მარა ამ ლოლუას საქმეების გამორკვევა არ იქმნა და არა. დღეს ერთი ბულვარდელი მოვა და დაგვიწყებს, ციფრებით ხელში, რწმუნებას: ლოლუამ ქუთაისი დააქციაო, ხვალ გამოხტება მეორე, ისიც ციფრებით დატვირთული, და გვიმტკიცებს: ლოლუამ ქუთაისი ააყვავაო. ვინ მართალს ამბობს და ვინ ტყუის - ეს ალახმა უწყის. ვებერთელა ლონდონის ვითარებას უფრო გაიგებს კაცი, ვინემ პატარა ქუთაისისას.

***

აი თუნდა ქუთაისის „ფეიქართა“ ამბებიც. ამ საგანზეც ბევრი იყვირეს, ქვეყანა გადააყრუეს და ბოლოს როგორც იყო დაწყნარდენ. ჩვენ გვეგონა ეს სიჩუმე საქმიანობას ნიშნავდა, რამეს უთუოთ აკეთებენ თქვა, ახლა გამოდის რომ სიჩუმე უსაქმობით ყოფილა გამოწვეული. სხვაგან როცა არას აკეთებენ, მაშინ ყვირიან, ცას და დედა-მიწას ანძრევენ გავაკეთოთ რამეო, და როცა საქმეს დაიწყებენ, ლაპარაკს უკლებენ. ჩვენ კი სწორეთ მაშინ ვყვირით როცა ვაკეთებთ რასმეს და ვყვირით რას? ნურას გავაკეთებთო? და როცა არას ვაკეთებთ ლაპარაკსაც ვუკლებთ. აი რას გვწერენ ქუთაისიდან: „ერთ სამაგალითო ამბავს წარმოადგენს აქაური მეაბრეშუმეობის და ფეიქრობის ამხანაგობა. სულ ძინავს და ძინავს, ძილს თქვენი ჭირი წაუღია, რომ დღეში ექვსი-შვიდი მანეთი ხარჯი არ ჰქონდეს და აგერ ხუთი თვე არის ერთი კაპეიკის არა გაუკეთებიათ რა. თუ თვით არ შეეძლოთ საქმის წარმოება, რატომ იხვეწებოდენ აგვირჩიეთო“... ამაზე ჩვენ მოვახსენებთ, რომ ყოველგან ასე იხვეწებიან, ირჩევენ თუ არჩევიებენ თავის თავს და მერე გამარჯვების ნიშნათ მხარ-თეძოზე წამოწვებიან.

***

მხარ-თეძოზე წამოწოლილია ეს ჩვენი „ქალთა ამხანაგობაც“. აღარც ამათგან ისმის რამე. ამხანაგობაც ზაფხულში „ვაკანსია“ ჰქონდა და რაღა გასაკვირელია ჩრდილს ქვეშ რომ მოესვენებია. ეს „ვაკანსია“ ერთობ გძელდება, საზაფხულო სეზონი უკვე გათავდა, ყველა ისევ თფილისში დაბრუნდა და საქმეს შეუდგა, ერთათ ერთი ქალთა ამხანაგობა არ დაბრუნებულა... მარა ამას თავის გასამართლებელი მიზეზი აქვს. მოგეხსენებათ როცა დღე და ღამე საქმობდენ ხარჯს ვერ აღიოდენ. რამდენათ მეტს აკეთებდენ, იმდენათ მეტს აგებდენ. მაშასადამე რამდენათ ნაკლებს ისაქმებენ, იმდენათ ნაკლებს წააგებენ და ეს ერთნაირი მოგებაა. მაშ ყველაზე მეტი ზაფხულში, ხეს ქვეშ, მოუგიათ და ყველაზე მეტი ზამთარში, სახელოსნოში, წაუგიათ, და რადგანაც ჩვენ ყოველთვის მოგების მომხრე ვართ, ამიტომ „ამხანაგობას“ ვუსურვებთ ხანგრძლივ ვაკანსიას და ...ჯანმრთელობას.

***

ასე და ამნაირათ, ზოგი დაობს, ზოგს ძინავს და ზოგი კიდევ რამის გაკეთებაზე ფიქრობს. ამ ფიქრმა განსაკუთრებით ფოთი და ბათომი არ მოასვენა. როგორც იცით, ფოთი ბუხტს იკეთებს, ბათომს კი გაკეთებული აქვს. ფოთი ვაჭრობა-მრეწველობაზე ოცნებობს, ბათომი კი კაი ხანია კიდევაც ვაჭრობს და კიდევაც მრეწველობს. ფოთი ძველის ძველი ქალაქია, ბათომი კი გუშინდელი და... რაღა გასაკვირველია ფოთი თავის თავს შეურაცყოფილათ რომ გრძნობდეს: როგორ თუ გუშინდელმა „ბალანამ“ მაჯობა, მე მას ვაყურებიებ სეირსო. ფოთის მუქარამ ბათომი ჩააფიქრა, ვაი თუ მართლა ამისრულოსო. აქამდი ეს მტრობა და შური ჩუმათ წარმოებდა, ფარდას იქით ხდებოდა, დღეს კი მაღლაც ამოცოცდა და გადაიძახა აქ გახლავარო. ბათომლებმა ფოთელებს დასწამეს თქვენ ხმას ავრცელებთ ვითომ ჩვენ ქალაქში ვაჭრობა უნდა მოისპოსო. ამაზე უპასუხა ფოთის წარმომადგენელმა: ჩვენში კი არა ისევ თქვენში მოიკითხეთ მაგის მოლაპარაკე და თუ არ იცით ვინ არის მე გეტყვითო და დაასახელა ბათომის მოურავი. ახლა ეს ამხედრებულა და აცხადებს: უკაცრავათ, მე, ბათომის თავი, როგორ ვიტყოდი ასეთ სიბრიყვეს ბათომზე. ეს მე პირველათ მესმის ფოთის მოურავისაგანო. და ასე ორი ქალაქის წარმომადგენელნი ერთმანერთს აბრალებენ ჭორების გავრცელებას! Nil admirari...

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

ᲐᲮᲝᲚᲝᲗ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲩᲔᲛᲝ ᲢᲣᲠᲤᲣᲠᲘ,
ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲡᲐ
ᲓᲐ ᲛᲣᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲣᲜᲔᲑᲚᲘᲔᲗ
ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲔᲡᲐᲡ!

ᲐᲛᲘᲗᲠᲗᲝᲚᲔ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲘᲒᲘ,
ᲖᲔᲓ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲐᲗᲘᲜᲔ;
ᲣᲘᲛᲔᲓᲝᲗ ᲓᲐᲒᲓᲔᲑᲣᲚᲘ
ᲒᲐᲛᲙᲣᲠᲜᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲠᲩᲘᲜᲔ!

ᲡᲔᲒᲓᲘᲗ ᲛᲝᲪᲣᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲒᲓᲔ ᲒᲘᲗ
ᲣᲜᲐᲣᲝᲗᲝ, ᲮᲛᲔᲚᲘ ᲩᲐᲚᲐ,
ᲔᲠᲗᲘᲪ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲮᲔᲓᲔ ᲓᲐ
ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ ᲛᲝᲛᲔᲪ ᲫᲐᲚᲐ!..

ᲓᲐ ᲒᲘᲗ ᲐᲮᲠᲓᲘᲚᲡ, ᲛᲝᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ
ᲛᲐᲚᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲓᲐᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑ;
ᲢᲘᲐᲚᲘ ᲡᲔᲒᲓᲐᲡ, ᲣᲡᲐᲡᲠᲝᲑᲐᲡ
ᲒᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲙᲐᲠᲔᲑ.

ᲓᲐ ᲨᲔᲜᲪ, ᲢᲣᲠᲤᲣᲠᲘ, ᲠᲐᲚᲐᲪ ᲜᲐᲖ-ᲢᲙᲑᲘᲚ
ᲡᲘᲐᲚᲣᲛᲚᲝᲡ ᲩᲐᲛᲩᲣᲠᲩᲣᲚᲔᲑ
ᲓᲐ ᲘᲛ ᲑᲒᲠᲘᲗ ᲛᲐᲤᲠᲗᲝᲮᲕᲜᲔᲑ,
ᲛᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲣᲚᲓᲒᲛᲣᲚᲔᲑ...

ᲓᲐ ᲒᲣᲚᲡ, ᲨᲔᲜᲒᲐᲜ ᲜᲐᲫᲒᲠᲐᲚᲡ,
ᲮᲜᲐᲪ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲐᲛᲘᲙᲕᲜᲔᲡᲔᲑ,
ᲛᲣᲘᲡ ᲨᲔᲤᲠᲥᲕᲔᲘᲗ ᲣᲚᲘᲛᲓᲔᲑᲘ,
ᲛᲮᲐᲠᲡ ᲐᲫᲚᲔᲕ ᲓᲐ ᲣᲐᲚᲔᲠᲡᲔᲑ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲡᲐᲓ ᲮᲐᲠ? ᲒᲔᲠᲡᲐᲓ ᲒᲮᲔᲓᲐᲕ!..
ᲜᲣ ᲗᲣ ᲥᲕᲔᲣᲜᲐᲗ ᲕᲔᲠ ᲒᲘᲮᲘᲚᲐᲕ
ᲓᲐ ᲒᲣᲚᲡ ᲨᲔᲜᲒᲐᲜ ᲐᲗᲠᲗᲝᲚᲔᲑᲣᲚᲡ
ᲗᲘᲗᲝᲜ ᲨᲔᲜᲒᲔ ᲓᲐᲛᲘᲗᲠᲗᲕᲘᲚᲐᲕ?...

ᲜᲣ ᲗᲣ ᲛᲔ ᲨᲔᲜᲡ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲐᲗ
ᲡᲐᲗᲔᲚᲐᲕᲗ ᲬᲘᲚᲐᲗ ᲩᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲝ?..
ᲡᲘᲐᲚᲣᲛᲚᲝᲗ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲛᲣᲐᲕᲮᲐᲠ
ᲓᲐ ᲡᲮᲜᲐᲛᲓᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲛᲐᲚᲝ?!

ᲓᲔᲔ ᲒᲐᲒᲗᲥᲕᲐᲛ'.. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲦᲛᲔᲠᲗᲝ!
ᲘᲥᲜᲔᲑ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲘᲓᲐᲚᲐᲢᲝ,
ᲮᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲣᲘᲛᲔᲓᲝᲗ
ᲛᲘᲛᲐᲢᲝᲗᲝ ᲛᲐᲠᲢᲝᲗ·ᲛᲐᲠᲢᲝ!..

ᲛᲐᲨ, ᲒᲘᲢᲐᲜᲯᲝ?!.. ᲓᲔᲔ ᲢᲐᲜᲯᲣᲚᲘ
ᲨᲔᲕᲣᲣᲠᲔᲑᲓᲔ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲒᲠᲔᲑᲐᲡ!
ᲛᲔ ᲔᲡ ᲢᲐᲜᲯᲕᲐ ᲛᲘᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ.
ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲔᲨᲘ ᲜᲔᲢᲐᲠᲔᲑᲐᲡ!...

დ. თომაშვილი

საზღვარგარეთ

ᲘᲜᲒᲚ.ᲡᲘ. ᲐᲛ ᲯᲐᲛᲐᲗ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ᲪᲮᲔᲜᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ. ᲛᲐᲗ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ: ᲢᲠᲐᲛᲕᲐᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲛ ᲒᲕᲐᲛᲣᲨᲐᲕᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲠᲝ, ᲠᲐᲪ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲛᲘᲕᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ, ᲛᲐᲠᲐ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐᲡᲝ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ, ᲛᲐᲠᲐ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲥᲛᲜᲐ ᲓᲠᲔᲘᲤᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲘᲜᲯᲕᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ. ᲡᲐᲪᲐᲐ ᲓᲠᲔᲘᲤᲣᲡᲡᲐᲪ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲜ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲔᲜᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲡ. ᲓᲠᲔᲘᲤᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲘᲡᲔ ᲐᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ, ᲘᲡᲔ ᲐᲐᲧᲐᲧᲐᲜᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲐᲓᲒᲘᲚᲝ ᲐᲠ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲛᲝᲙᲚᲔᲗ ᲛᲝᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑ. 16 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ 1894 Წ. ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲘ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲘ ᲓᲠᲔᲘᲤᲣᲡᲘ ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲡ. ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲛᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲔᲐᲘᲣᲨᲕᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲢᲔᲮᲔᲡ: ᲨᲔᲒᲔᲭᲐᲛᲔᲡ ᲣᲠᲘᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘᲓᲔᲔ ᲛᲮᲔᲓᲠᲝᲑᲐᲨᲘᲐᲪ ᲒᲐᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲣᲚᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲕᲐᲪᲚᲘᲐᲜᲝ. ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲡ, ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲗ, ᲐᲜᲢᲘᲡᲔᲛᲘᲢᲜᲘ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲓᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲒ. ᲞᲐᲢᲘ-ᲓᲔ-ᲙᲚᲐᲛᲘ, ᲡᲐᲜᲓᲰᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲮ. ᲓᲠᲔᲘᲤᲣᲡᲘ ᲒᲐᲐᲛᲢᲧᲣᲜᲔᲡ ᲘᲛ ᲮᲔᲚ-ᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ (ᲑᲝᲠᲓᲔᲠᲝ) ᲫᲐᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲡ ᲕᲘᲗᲝᲛ ᲣᲪᲮᲝ ᲡᲐᲮᲔᲛ�წᲘᲤᲝᲡᲗᲔᲘᲡ ᲛᲘᲔᲬᲔᲠᲝᲡ. ᲓᲠᲔᲘᲤᲣᲡᲘ ᲒᲐᲘᲡᲢᲣᲛᲠᲔᲡ ᲔᲨᲐᲙᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲖᲔ. 1896 Წ. ᲛᲐᲘᲡᲨᲘ, ᲡᲐᲜᲓᲰᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲛ ᲝᲑᲔᲠᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢ ᲞᲘᲙᲐᲠᲛᲐ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲔᲡᲢᲔᲠᲰᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲖᲔ. ᲐᲛᲐᲜ ᲔᲥᲕᲘ ᲐᲦᲣᲫᲠᲐ ᲑᲝᲠᲓᲔᲠᲝ ᲔᲡᲢᲔᲠᲰᲐᲖᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲮᲛᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡᲝ. ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲒᲐᲠᲔᲗᲐᲪ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲛᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲓᲠᲔᲘᲤᲣᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲔᲠᲗ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲑᲝᲠᲓᲔᲠᲝ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔᲝᲠᲔᲛ—ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲔᲘᲗᲝᲛ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘᲡᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲗᲐᲜ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ: „ᲔᲡ ᲡᲐᲫᲐᲒᲔᲚᲘ ᲓᲠᲔᲘᲤᲣᲡᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲔᲠᲡ ᲗᲮᲝᲣᲚᲝᲑᲡᲝ“. ᲘᲛᲐᲕᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ (5 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ) ᲞᲘᲙᲐᲠᲘ ᲒᲐᲐᲨᲝᲠᲔᲡ ᲞᲐᲠᲘᲫᲘ, ᲠᲐᲚᲐᲪ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲣᲩᲘᲜᲔᲡ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲛᲐ ᲐᲢᲔᲮᲔᲡ ᲓᲐᲘᲓᲐᲠᲐᲑᲐ, ᲖᲝᲒᲘ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲓᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲧᲐᲚᲑᲘᲐᲝ,

ზოგი კი —ნამდვილიაო. ესტერჰაზი დასახეს ბორდერას ავტორათ, მარა მსაჯულებმა ის გაამართლეს. ამ დავაში ჩაერია ემილ ზოლა და წელს პირველ იანვარს წერილით მიმართა მთავრობას, სადაც ბრალსა დებდა მას, რომ დრეიფუსის დასჯა და ესტერჰაზის გამართლება სამხედრო მსაჯულებმა მინისტრის „ბრძანებით“ მოახდინესო. ზოლა სამართალში მისცეს და რადგანაც ამ ბრძანების დოკუმენტით დამტკიცება შეუძლებელი იყო, ზოლას ერთი წლის ციხე და 3,000 ფრანკი ჯარიმა მიუსაჯეს. ამ დავიდარაბაში გამოირკვა, რომ ბორდერო დრეიფუსის დაწერილი არ არის და მთავრობამ მის მსაჯულთ წარუდგინა თურმე სხვა გამამტყუნებელი საბუთები, ხოლო დამცველისთვის კი არ წარუდგენია. მაშასადამე დრეიფუსს აღარ შეეძლო თავის მართლება იმ დანაშაულობაში, რასაც მას დებდენ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააშწვავა საზოგადო დავა და ბოლოს სამხედრო მინისტრმა საჭიროთ დაინახა პარლამენტისთვის დრეიფუსის გამამტყუნებელი საბუთი წარედგინა. ერთ ამ საბუთში იყო დრეიფუსის სახელი მოხსენებული, მეორეში კი მხოლოთ დ. რაც ზემოთ დასახელებულ გაზეთმა დრეიფუსათ გადააკეთა. თვითონ მინისტრის აზრით, ეს მეორე არ არის მაინც-დამაინც დიდი საბუთი, პირველი კი უეჭველიაო. და აი რამდენსამე დღეს შემდეგ შტაბის აფიცერმა ჰანრიმ განაცხადა: ეს დოკუმენტი მე შევადგინეო. იგივე ჰანრი იყო უმთავრესი მოწამე დრეიფუსის გასამართლების დროს. ამ ამბავმა თავ-ზარი დასცა დრეიფუსის მოწინააღმდეგეებს და იძულებული შეიქმნა დრეიფუსის საქმე ხელ-ახლა გაერჩიათ. რას მოგვიტანს ეს გარჩევა, ამას მომავალი თვე გვიჩვენებს.

— ცნობილი ესტერჰაზი ლონდონში გაიქცა და იქიდან იმუქრება „ყველაფერს ვიტყვიო“. მას ხშირათ უთქვამს, რომ ყოველივე რაც იმან მოიმოქმედა, უფროსის ბრძანებით იყოვო. ბრმა მორჩილება მისი მუდმივი მცნება იყო, რომ ებრძანებიათ ძმა დახვრიტეო, მაშინვე ავასრულებდიო. ათას დოკუმენტში, რომელნიც დრეიფუსის საქმეს შეადგენენ, დაახლოვებით 600 მაინც ყალბიაო. ესტერჰაზს სურს ახსნას თუ როგორ და რა გარემოებაში ჩადენილ იქმნა ეს ამოდენა სიყალბე. თუ მართლა ასრულდა ყოველივე ეს, საფრანგეთის ბევრი გენერალი გამოეთხოვება სამსახურს და ვინ იცის კიდევ რას...

გერმანია. ბისმარკის ახლო მეგობარმა, მორიც ბუშმა, გამოაშკარავა თავისი დღიური, რომელიც ერთიანათ ბისმარკის მიერ სხვა-და-სხვა დროს ნალაპარაკევს შეიცავს. წიგნი დაიბეჭდა ლონდონში (ინგლისურათ) ამ სათაურით: „ბისმარკი, რამდენიმე საიდუმლო გვერდი მისი ისტორიიდან“. და მართლაც აქ ბევრი საიდუმლო ამბებია მოთავსებული. აქედან ჩანს, რომ თავიდანვე ბისმარკის პოლიტიკა ყოფილა ავსტრიის დამცირება და პრუსიის გაძლიერება. როცა ამას მიაღწია 1866 წლის ომით, მერე საფრანგეთის დამარცხება ყოფილა მის მიზნათ. მან ყალბი დეპეშებით, (ემსის დეპეშა) რაც ვითომ ნაპოლეონ მესამემ გამოუგზავნა თავის ელჩს პრუსიაში და სადაც პრუსიის მეფე და მთავრობა შეურაცყოფილი იყო, გერმანიის ხალხნი აამხედრა საფრანგეთის წინააღმდეგ და კიდევაც თავისი გაიტანა. ომის შემდეგ ავსტრიას ხელი შეუშალა რუსეთთან დაახლოვებაში იმ შიშით, რომ მათ საფრანგეთიც მიემხრობაო. ერთი სიტყვით გერმანიის ახლანდელი პოლიტიკის დაფარული მხარე ფარდა ახდილი და განათებულია. ერთხელ ბისმარკს ელაპარაკნა სარწმუნოებაზე და ეთქვა სხვათა შორის შემდეგი: „მე ღრმათ მრწამს საიქიო, ცხოვრება სიკვდილს მერე და სწორეთ ამიტომ ვარ როიალისტი (მეფობის მომხრე), თვარა ბუნებით მე რესპუბლიკანელი ვარ. დიახ მე უმაღლესი რესპუბლიკანელი ვარ და თუ ჩემი რწმენა მეფობაში სასახლის ვერავითარ სიბრიყვემ ვერ შეარყია ამას სარწმუნოებას უნდა ვუმადლოდე... და მართლაც, თუ კი ღვთის მოწყალება არ არსებობს, რატომ უნდა დავემორჩილო მეფის გვარეულობას? ისიც ისეთივე გვარისაა, როგორც მე, არც მეტი და არც ნაკლები და ამ შემთხვევაში მისი საქმე სრულებით არ შემეხება მე“.

იტალია. მას შემდეგ რაც იტალიელ ანარქისტმა ავსტრიის დედოფალი მოკლა, ევროპაში ბევრს ლაპარაკობენ იმაზე თუ რატომ ყოველთვის იტალია იძლევა ასეთ პირთ. (მოგეხსენებათ, რომ იტალიელმა მოკლა კარნო, საფრანგეთის პრეზიდენტი და ისპანიის პირველი მინისტრი კანოვას დე-კასტილიო). ამის მიზეზს თვით იტალიის საზოგადო წყობილებაში ეძებენ. იტალია—ეს ის ქვეყანაა, სადაც ევროპის ყველა დიდ სახელმწიფოებზე ნაკლებ არის განვითარებული მრეწველობა, ხოლო სახემწიფო ხარჯები და გადასახადები თითქმის უდრის დიდ სახელმწიფოებისას. მეორე მხრით, სამხრეთ იტალიაში მთელი მიწა-ადგილი რამდენსამე მემამულეთ ეკუთვნის, რომელნიც ცხოვრობენ დიდ ქალაქებში და მამული-კი მოურავების ხელშია. ამ ნაირათ, ერთი მხრით სოფლის ურიცხვი პროლეტარიატი, მეორე მხრით ნაკლები სამუშაო ქალაქებში და ამასთანავე დიდი გადასახადები — ყველა იმან დასცა და გაალატაკა ხალხი. ამას ზედ ერთვის პოლიტიკური მუხრუჭი და თავისუფლების შეზღუდვა. აჯანყება სიცილიაში (1893 წ.) და მილანში (წელს) შედეგი იყო ასეთი

უკიდურესი მდგომარეობის. და აი სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ ადამიანი, რომელსაც ბრძოლა და ცხოვრების შეცვლა სურს, ნამეტანი გამწარებით ვერ ივნებს თანამედროვე პირობების დედა-ძარღვს, სასოწარკვეთილებაში ვარდება და ისევ თვითოეულ პირთა მოკვლაში შურის ძიებას ეძიებს. აი ასე იბადება ანარქისტი საზოგადოთ, და იტალიის—კერძოთ. მაშასადამე მეტი კეთილ-დღეობა და მეტი თავისუფლება—აი რა უნდა იყოს ნორმალური განვითარების გზა და ხიდი.

სპარსეთი. ერთი ინგლისური გაზეთის სიტყვით რუსეთი დიდ ნაბიჯს აკეთებს სამხრეთ სპარსეთში. ხორასანში და აღმოსავლეთ სპარსეთში ისეთივე უფლება მოიპოვა, როგორც მანჯურიაში აქვს. ახალი ხელ-შეკრულობის ძალით არც ერთ უცხო სახელმწიფოს ან და უცხოელთა კაპიტალისტთ ნება არ აქვთ რკინის გზა გაიყვანონ აღნიშნულ პროვინციებში მომავალი 15 წლის განმავლობაში. ხოლო რუსეთს უფლება ეძლევა იმიერ-კასპიის რკინის გზიდან გაიყვანოს შტო მეშედამდი და აგრეთვე საიდსტანის საზღვრამდი და აქედან სპარსეთის გუბემდი განაგრძოს. გარდა ამისა, რუსეთს აქვს უპირატესობა გზა-ტკეცილები გამართოს, რკინის გზებთან მისავალ-მოსავალი გზები განაკარგოს და გზების სათვალყუროთ თავისი ჯარები წვრილ-წვრილათ გაგზავნოს. როგორც ხედავთ, ეს ხელ-შეკრულობა ძალიან წააგავს ჩინეთის ხელ-შეკრულობას მანდჯურიის შესახებ. რუსეთს აზრათ აქვს გაიყვანოს ორი რკინის გზა: ერთი იმიერ-კასპიის რკინის გზის რომელიმე სადგურიდან შენდერ-აბასსამდი, მეორე კი საიდსტანის საზღვრამდი. პირველით ის დაუკავშირდება ინდოეთის ოკეანს. ამ გვარათ, რუსეთი აქაც თავისუფლათ გავა ზღვაში, როგორც ის შორეულ-აღმოსავლეთში გავიდა.

ჩინეთი. ჩინეთში მოხდა სასახლის რევოლიუცია: იმპერატორი გადაყენებულ იქმნა პირ-და-პირი მმართველობისაგან და მისი ალაგი დედა-მისმა დაიჭირა. ეს გამოიწვია შემდეგ გარემოებამ: მას შემდეგ რაც ჩინეთი იაპონიამ დაამარცხა და ყოველი მხრით ევროპის სახემწიფონი გასაცარცვათ შემოეხვიენ, მოწინავე პირები იმ აზრზე დადგენ, რომ თვით-არსებობის დასაცავათ საჭიროა ქვეყნის გაევროპიელება, ევროპის კულტურის შეთვისებაო. ეს აზრი ჩააგონეს იმპერატორსაც და მან გასულ თვეში ყველა მოხელე ცირკულიარით მოიწოდა ამ ახალ გზაზე. რეფორმატორნი განსაკუთრებით წინააღმდეგი იყვნენ ლი-ჰუნ-ჩანგისა, რომლის მეოხებით რუსეთმა პორტა-არტური შეიძინა. მის წინააღმდეგ იყო აგრეთვე ინგლისიც, მან მოთხოვა ჩინეთის მეფეს ლი-ჰუნგ-ჩანგის დათხოვა სამსახურიდან, რაც სისრულეში იქმნა მოყვანილი ამ ერთი კვირის წინეთ. ყველა ეს რეფორმატორთა გამარჯვება იყო. ამას ზედ დაერთო იაპონიის ელჩის, იტოს, მოსვლა, რომლის მიზანია ჩინეთთან დაკავშირება და საერთო ინტერესის დაცვა. ამ ახალ პოლიტიკამ აამოძრავა ძველი ჩინეთის პარტია და იმპერატორის დედას ჩააგონეს ეს არის ქვეყანა იღუპებაო. მან მაშინვე თავის თავი გამოაცხადა შვილის რეგენტათ და მას შეეფიცეს იმპერატორმა და ყველა მაღალ მოხელეებმა. რეფორმატორები გაიქცენ. ლი-ჰუნგ-ჩანგი უეჭველია ისევ მიიღებს თავის თანამდებობას, რაც ინგლისის მხრით პროტესტს გამოიწვევს. უკანასკნელი ტელეგრამმა იუწყება, რომ ყველა რეფორმა, რაც კი იმპერატორმა მოახდინა, ახალი მთავრობის ბრძანებით გაუქმებულ იქმნაო.

— შორეულ აღმოსავლეთში რუსეთს ჰყოლია ამ ჟამათ 22,000 ხმელეთის ჯარი (ინფანტერია და არტილერია) და 13 სამხედრო გემი 337 ზარბაზნით და 5823 კაცით. ხოლო ინგლის ჰყავს ჩინეთის ზღვებში 29—40 სამხედრო გემი, 750 ზარბაზნით და 8800 კაცით.

ბაზარი. სიმინდის ფასმა ცოტა იმატა, ფუთი ღირს (ლონდონში) $61\frac{1}{2}$ კაპ. როგორც იქმნა პარკის ფასიც გამოირკვა საზღვარ-გარეთ. ხუთ ამ თვეს მარსელში ორ-გირვანქა ნახევარი ჩვენებური თეთრი პარკი აყიდებოდა 3 მანეთათ და 35 კაპ. ხოლო ყვითელი პარკი 3 მან. და 42 კაპ.

წერილები შვეიცარიიდან.

IV.

შვეიცარია ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო არ იქნებოდა, რომ აქ რეფერენდუმი და ინიციატივა არ არსებობდეს. ეს ორი დაწესებულება დემოკრატიული პრინციპის საუკეთესო წარმომადგენელი და გამახორციელებულია.

აი რაში მდგომარეობს რეფერენდუმი. რომელსამე კანონ-პროექტს, კანონის ან თვით კონსტიტუციის შესახებ მიმართავენ ერს, რომ უკანასკნელმა წარმოთქვას თავისი სურვილი—თანახმაა თუ არა მიიღოს წინადადება. ამნაირ შემთხვევაში მთელი ერის აზრის გამოთქმას ჰქვია—რეფერენდუმი. საბჭოები ვალდებულნი არიან ამ გამოთქმულ აზრს დაემორჩილონ.

რეფერენდუმი ორგვარია—სავალდებულო და არა სავალდებულო. ზოგიერთ კანტონებში ყველა კანონი, რომელსამე საბჭოს მიერ შემუშავებული, დასამტკიცებლათ უნდა წარედგინოს ხალხს; ამას ჰქვია სავალდებულო რეფერენდუმი. ზოგიერთ კანტონებში კი

საბჭოებს აქვსთ უფლება დაუკითხავათ ერისა შემოიტანონ ახალი კანონი და გააუქმონ ძველი; აი ამას ჰქვიან არა-სავალდებულო რეფერენდუმი.

როგორც საფედერაციო ისე საკანტონო კონსტიტუციაში ურეფერენდუმოთ არც ერთი მუხლის შეცვლა არ შეიძლება.

ფედერაციის კრება ვალდებულია ყველა თავის გადაწყვეტილებათა შესახებ მოახდინოს რეფერენდუმი თუ ამას მოითხოვს 30,000 მოქალაქე ანუ 8 კანტონი.

ფაკულტატიური (არა სავალდებულო) რეფერენდუმი იწვევს უფრო გამწვავებულ ბრძოლას, უფრო მეტ ალაგს უთმობს ბოროტ-მოქმედებას. როდესაც რეფერენდუმი სავალდებულოა, კანონმდებლები უფრო გულდასმით ეკიდებიან საქმეს და ცდილობენ ისეთ დასკვნაზე დაადგენ, რომელიც ეთანხმება უმრავლესობის მოთხოვნილებას; ფაკულტატიურ რეფერენდუმთან კი თუ უმრავლესობას არ გამოუჩნდენ რიგიანი მეთაურნი, რომელნიც გაირჯებიან და მოაგროვებენ საკმარის ხმას, რომ საბჭოს მოახდენინონ რეფენდუმი (ვინ არ იცის რომ ახლანდელ ბურჟუაზულ წეს-წყობილებაში საბჭოებში ყოველთვის მეტი წარმომადგენელი ჰყავთ მდიდრებს) ეს უმრავლესობა რჩება დაჩაგრული. ფაკულტატიური რეფერენდუმი, შედარებით სავალდებულო რეფერენდუმთან, არაა საკმარისათ დემოკრატიული და აძლევს ალაგს დემოკრატიზმის პრინციპის შებღალვას.

მეორე ძლიერი დემოკრატიული იარაღი—ინიციატივაა. მოქალაქეთა აღნიშნულ რიცხვს შეუძლია მოითხოვოს ახალი კანონის შემოტანა, ან ძველის გაუქმება, ან რომლისამე დაწესებულების გაუქმება ანუ დაარსება. ამ უფლებას ჰქვიან უფლება ინიციატივისა-თაოსნობისა (ყოველგან არაა მიღებული არც რეფერენდუმი და არც ინიციატივის უფლება).

ინიციატივასა და რეფერენდუმ შორის ის გარჩევაა, რომ ინიციატივით მიმართავენ საბჭოებს რამე მოთხოვნილებით, რეფერენდუმით კი ეკითხებიან ერს, ამა თუ იმ კითხვის გადასაჭრელათ.

გარდა პროპორციონალური წარმომადგენლობის, რეფერენდუმის და ინიციატივისა, რომელნიც არიან ნაყოფნი ახალი ეკონომიური პირობებისა, ჩვენ აქ უნდა დავახასიათოთ ეგრეთ წოდებული წმინდა დემოკრატია, როგორც ნაშთი ძველი წყობილებისა. ეს არსებობს კანტ. ურში, უნტერვალდენში, აპპენცელში და გლარუსში რომელიც გამოიხატება landsgemeinde'-ში და რაც მდგომარეობს შემდეგში: წელიწადში ერთხელ, დანიშნულ დღეს წარედგინება ხალხს ყველა ანგარიშები და წინადადებანი; ყველას აქვს საგნის გაშინჯვის და წინადადების შემოტანის უფლება. ამ კრებაზე ძველი მოხელეები ანებებენ თავს სამსახურს და მათ მაგიერ ხალხი ახლებს ირჩევს. ეს იგივეა რაც ჩვენ მთის ხალხში წინეთ ჩვეულებათ იყო: თემი თავს მოიყრიდა ერთ ხეს ქვეშ და თავის საქმეებს განაგებდა. მარა ეს სადა ცხოვრების ნაყოფია და რთულ თანამედროვე პირობებში ვერ გამოდგება.

რასაკვირველია, პატარა თემებში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 1000 არ აღემატება, ეს შესაძლებელია, თუ თემი საკმარისათ განცალკევებულია თავისი ინტერესებით, თავისი არსებით დანარჩენი თემებისაგან და თუ სახელმწიფოს ნაწილებთან არაა ეკონომიურათ შეერთებული, გადახლართული; მაგრამ, როგორც ყველამ უწყის, დღეს თითქმის ყველგან მოისპო კარჩაკეტილი ცხოვრება, თემების ინტერესები ერთმანეთს გადაეხლართენ და ცხოვრება გართულდა. ერთ დღეს მთელი წლის განმავლობაში მოგროვილი კითხვების გარჩევა და გადაჭრა შეუძლებელი გახდა. საჭიროა კითხვების შესწავლა და გარკვევა სხვა-და-სხვა პარტიების და თემების წარმომადგენლებისაგან; საჭიროა მათი გამარტივება, რომ ყველასთვის გასაგები გახდეს. მხოლოთ ამას შემდეგ უნდა მიმართონ ერს. landsgemeinde'-ი წელიწადში ერთხელ და ისიც მხოლოთ ერთ დღეს ხდება, მაშინაც ყველა ჩქარობს შინ დაბრუნებას. ცხადია მთელი ხალხისთვის ხშირათ თავის მოყრა ძნელია და საქმისთვის კი აუცილებელი საჭირო. რადგანაც ხალხისთვის ხშირათ თავის მოყრა და იქვე საქმის გარჩევა (ზოგიერთი კითხვების გაშინჯვა საჭიროებს სპეციალისტების შრომას და დიდ დროს) მოუხერხებელია, landsgemeinde'-ი მიგვაჩნია არამც თუ გამოუსადეგრათ, მავნებლათაც პროგრესისათვის. ახლანდელ მდგომარეობაში პარლამენტარიზმი პროპორციონალური წარმომადგენლობით და სავალდებულო რეფერენდუმით, სავსებით ეთანხმება დემოკრატიულ პრინციპს და თანამედროვე შვეიცარიის ცხოვრებას.

დ. თოფურიძე.

ბ ო ს ფ ო რ ი დ ა ნ.

აწინდელი სტამბოლი—საკვირველი სტატისტიკა.

Კონსტანტინოპოლი, ეს „ვაშლი შუღლისა“ და დაუსაბამო ხაჰოსი ყოველივე უბედურებისა ევროპიის კონტინენტზე, ჯერ კიდევ პირველ დაარსებიდანვე იქცევდა მთელი ქვეყნის ყურადღებას თავის შვენიერის გეოგრაფიულის მდებარეობითა და მდგომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობით, მაგრამ, ეს ადგილი, მარტო ამიტომაც არ არის საყურადღებო. ამოდენა ქალაქში, საცა ყოველი მხრიდან და კუთხიდან იკრიბებოდენ და იკრიბებიან ახლაც, აუარებელი, სხვა-და-სხვა ჯურისა და რჯულის ხალხი, საცა შეგიძლიათ იპოვნოთ ყველა გვარის წარმომადგენელი ტიპები, რაც კი ქვეყანაზე არსებობს, მეტყველი ცხოველის სახელით. აქ ისეთს ენას გაიგონებს კაცი და ისეთს ტანსაცმელს იხილავს, რომელიც, თვით არხეოლოგ ისტორიკოსებსაც, საეჭვოა, გაეგონოს ან ენახოს. ეს ისეთი ადგილია, რომელსაც მთელი ქვეყნის მოგზაური ვერ ასცდება, საცა მარტო თაყვანის მცემლები, თავიანთი ტილით საესე ქურქებითა და თავ-ტანით გაიელ-გამოიელის 50 ათასზე მეტი ყოველ წლივ. თვით ხოლერის ბუდე მექა მედინიდან, რამდენი აშმორებული ხალხი მოდის ხოლმე აქ ანგარიში არ არის. გარდა ამ, როგორც ვხედავთ, აუარებელი მოგზაურებისა, ერთი მილიონი და ასი ათასი მუდმივი მცხოვრებლები ჰყავს კონსტანტინოპოლს, მაგრამ კონსტანტინოპოლის ჰავა იმდენათ კარგია, იმდენათ საღია, რომ ვერაფითარი ავათმყოფობა ფეხს ვერ იკიდებს. საშინელ ხოლერობას, რომელმაც წასრულ წლებში მუსრი გააელო ბევრ, ჰიგიენურათ კარგათ მოწყობილ ქვეყნებსაც კი, აქ სულ ასიოდე კაციც არ უმსხვერპლია; მიუხედავათ იმისა, რომ კონსტანტინოპოლი, როგორც ადმინისტრატიულათ, მით უმეტეს სანიტარულათ ერთ უსაძაგლესს ქალაქს წარმოადგენს ცასქვეშეთში. დიაღ, შვენიერი ქალაქია კონსტანტინოპოლი, როგორც თავის საუცხოო ოქროს რქათ წოდებულის ლიმანითა და საუცხოო, განგებ გაკეთებულივით არხი ბოსფორით, ისე ცხოველ-მყოფელი, მსუბუქი და ჯანსაღი ჰაერით. და, რომ აქ, სულ ცოტათი მაინც, თავისუფლება იყოს და ან რომელიმე ევროპიელ, განათლებულ სახელმწიფოს ეჭიროს, თავისუფლათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვით ლონდონსაც გადააჭარბებდა მცხოვრებლების რიცხვით. ამას ჩვენ, იმ მოსაზრებით ვამბობთ, რომ, სანამ ევროპიის გაელენა არ იყო შემოსული აქ, თითქმის სამასი წლის ოსმალთა მეფობის განმაელობაში ამ ქალაქში ნახევარ მილიონსაც ვერ მიაღწევდა მცხოვრებლების რიცხვი. რაც ევროპამ შემოდგა ფეხი, მას მერმე კი დღითი დღე იზრდება. რაოდენათაც მეტია ევროპიელთა გაელენა, იმდენათ იზრდება კონსტანტინოპოლი. ამის საბუთათ შეგვიძლია მოვიყვანოთ სტატისტიკური ცნობები ამ ქალაქსა ამ ოცდა ათი წლის წინ და ახლა. ოცდა ათის წლის წინეთ თათართა ხალხთ აღრიცხვიდან ჩანს რომ კონსტანტინოპოლს ჰყოლია სულ ექვსი ათასზე ცოტა მეტი მცხოვრებლები და ახლა კი როგორც უწყით მილიონზე მეტია. ქალაქიც მაშინდელზე ძრიელ გაფართოვდა, ქუჩები ვაგანიერდა და სახლებიც დამშვენდა. ახალი ნავთსადგური „კე“ გაკეთდა, სხვა-და-სხვანაირი ბანკები გიხსნა, ფოსტა-ტელეგრაფების საქმე გაუმჯობესდა, სამართალი თუმცა აღსრულებით ძალიან უფერულათ სრულდება, მაგრამ მაინც ევროპიულ გეგმაზეა და სხვა მრავალი. რაც შეეხება მმართველობას, როგორც სტამბოლისას, ისე მთელი ოსმალეთისას, ამაზე ლაპარაკიც კი მეტია, რადგან, ამ, ათასნაირი გვარისა, ჯურისა და რჯულის ხალხის ალაგმვა, ოსმალეთის მთავრობისთვის მოუხერხებელი შეიქნა. წარსული წლის ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ „რეჟის (თუთუნის) მონოპოლიამ ერთი მილიონი ფრანკი იზარალა. ეს იმიტომ კი არა, ვითომ თუთუნის ფასი დაწეულაყოს გაიაფებულიყოს, ის წარსულ წლებზე 25% გააძვირეს კიდეც, აქ სულ სხვა ჩვეულებრივი მიზეზები უშლის ხელს. რეჟის მონოპოლიაში იმდენი მოსამსახურეა, რომ მარტო მათი ჯამაგირები ულაპამენ შემოსავლის სამ მეოთხედ ნაწილს, ესეც იმიტომ, რომ აქ დიდ კაცთა გაელენა და „ბლთიმოსი“—ბრძანება, ძრიელ არის გავრცელებული და თითქმის ნახევარი რეჟის მოხელეებისა, ხათრისთვის არიან უშველებელს ჯამაგირებში, როგორც სხვა ყველა აქაურ დაწესებულეებში. ამ მიზეზით ხარჯი ძალიან დიდია და თუთუნსაც ფასი იმდენათ მიემატა, რომ შეუძლებელი დარჩა მისი ყიდვა რეჟიდან, მეტადრე მუშა და ღარიბი ხალხისთვის. მწარმოებლებს კი, ვინც თუთუნს თესავს ორჯელ ნაკლები ფასი აქვს დანიშნული მონოპოლიისაგან, ვიდრე წინეთ იყიდებოდა უბანდიროლობის დროს. ამისათვის გავრცელდა კონტრაბანდისტობა. მთავრობა ღებულობს რეჟის კომპანიიდან, რომელიც ფრანცუზების ხელშია, წელიწადში ერთ მილიონსა და ორასი ათას ლირას, რისთვისაც მთავრობა მოვალეა კონტრაბანდი მოსპოს. მაგრამ ყოველივე საშუალება უბრალო გამოდგა. ამ თერამეტი წლის განმავლობაში, რაც თუთუნს მონოპოლია დაარსდა, როგორც ოსმალეთის პოლიცია-ჟანდარმების სტატისტიკიდანა ჩანს ათი ათას კაცზე მეტი მომკვდარა კონტრაბანდის მიზეზით და ორი ამოდენა დატუსაღებულა. ასე რომ თუთუნის შემოსავალის ნახევარი ნაწილი, რასაც ოსმალეთი ართმევს რეჟის კომპანიას, კონტრაბანდისტებთან ბრძოლაში იხარჯება და კონტრაბანდისტები კი დღითი დღე შესამჩნევათ მატულობენ. წარსულ 1897 წელს მაინც საშინელის მისწრაფით გამრავლდენ კონტრაბანდისტები, რადგან ოსმალეთის მთავრობას, შინაური თუ გარეული საქმეები ბევრი ჰქონდა და არ ეცალა მათთვის, დღეს თუთუნის წარმო-

ება იმჟღენათ შემცირდა რეჟის მონოპოლიაში, რომ წინეთა წლებში თვეში სამასი თუმნის ბანდიროლი იხარჯებოდა და ახლა კი ორმოცდა ათი თუმნისაც კი ძლივს მიდის. მონოპოლიის შემოღებამდე ოყა დაჭრილი თუთუნი იყიდებოდა ორ მანეთში, სამი ყურუშიდან (ყურუში 8 კაპიკია) ხუთ ყურუშამდე თვით თუთუნის მომყვანისაგან და ხუთი ყურუშიდან ათ ყურუშამდე დუქნებში. ახლა კი მწარმოებელი ორი ყურუშიდან ოთხამდის ჩხუბითა და დავიდარაბით ძლივს აძლევს მონოპოლიას. ბევრმა თუთუნის მოხელეებმა სრულიადაც მიანებს თუთუნის მოყვანას თავი და თვით რეჟის კომპანიას დაუდგენ მოჯამაგირეთ. აი ერთი უმთავრესი მიზეზი კონტრაბანდისტების გაერცელებისა და წარმოების დანაწილებისა. რეჟის მონოპოლია, მიუხედავათ იმისა, რომ ასე იაფათ ყიდულობს, თუთუნს ჰყიდის ოცი ყურუშიდან ოთხმოც ყურუშამდის კილოს. (ოყაზე ნაკლებია) რაც შეეხება სხვა ვაჭრობებს ოსმალეთში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თითქმის ყველა ევროპიულ ქალაქებზე იაფობა არის, რადგან ყოველ ევროპიიდან შემოსულ საქონელზე დამოგნა ორში რვას იღებს და შინაურზედ კი ორში ოთხს, თუმცა შინაური, გარდა მწვანილეულობისა და თევზისა, თითქმის ბევრი არა მოიძევა-რა.

ხალხოსნობით კონსტანტინოპოლი დაუთვლელს ელემენტებს წარმოადგენს და რჯულით კი სამათ გაიყოფება: მუსურმანნი, ქრისტიანნი და ურიები. რიცხვობითი კი პირველი ადგილი უჭირავს მუსულმანებს, მეორე—სომხებს, მესამე—ბერძნებს, მეოთხე—ევროპიელებს და მეხუთე ურიებს. ასე რომ მუსულმანნი იქნება ჯარიანათ 600 ათასი. და ქრისტიანნი 500-ათასი, ურია 50 ათასი ახლათ რუსეთიდან შემოხიზნულებიანათ. ქრისტიანებთა შორის კი პირველი ადგილი უჭირავს სომხებს 200 ათასამდეა კათოლიკებიანათ. მეორე—ბერძნებს 150 ათასზედ მეტი კათოლიკებიანათ. და მესამე კი—ევროპიელებს 100 ათასზე მეტი იქნება.

სხვა მრავალ აზიატურ საკვირველებასთან ერთათ ევროპიელთ ყურადღებას იქცევს ძაღლების სიმრავლე, რომელიც უკანასკნელის აღწერილობის საშუალებით, ახმედ მითხად ეფენდის ბრძანებით შედგენილისა აღმოჩნდა, რომ კონსტანტინოპოლში არის 450 ქუჩის ძაღლი. ახმედ მითხად ეფენდი ისტორიკოსია ოსმალეთის'ა და კარგათ განათლებული კაცი. მისის მეცადინეობით იქნა გამოკვლეული, რომ ეს ძაღლები, ყოფილა დაყოფილი 4500 კვარტალში, ისე რომ ერთი მეორის ნაწილში ფეხსაც ვერ გადაადგმენ და თუ ეს მოხდა საშინელს ყეფასა და ღრინვა—ჩხუბს იწევს. ოსმალებსა ჰგონიათ, რომ ეს ძაღლებია მიზეზი ავათმყოფობა რომ არ არისო. ერთი მხრით ეს მართალიც უნდა, იყოს, რადგან ყოველ ნაირ ნაგავს, ძვლებსა და სხვა აყროლებულ ხორაგეულობას ღამღამობით ქუჩაში გამოჰყრიან ხოლმე და ძაღლები, რომ მაშინვე არ აქრობდეს ყველა ამ საძაგლებას ეჭვი არ არის ძრიელ ფინთი სუნი იქნებოდა. აქაური გაზეთები ამ საკვირველი სტატისტიკის გამო აი რას ამბობენ ,,ჩვენ გვეგონა ძაღლები ხალხზე მეტიაო და ახლა კი აღმოჩნდა, რომ ერთი ძაღლი თითქმის სამს სულზე მოდის და ამ მოსაზრებით ისინი სრულიათ უზიანონი არიანო".

საზოგადოთ ოსმალეთში და კერძოთ კი [illegible]ბოლში, პირუტყვს მეტი ყურადღება აქვს მ[illegible]ული. ხშირათ გაიგონებთ აქ „აი ეს ხანუმი [illegible]ემი ასსა და ორას პურს ურიგებს ძაღლებსაო. ის ძაღლების ქალბატონია—თათრულათ (ქოფაქ მადამასი).

იასე რაჭველი.

განცხადება

ქალ ვაჟთა სკოლა ელენე ლუკას ასულის ბახტაძისა დ. ხონში, პირველ სეკტემბრიდან ამა 1898 წლისა, ნებართვითა ზ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქნება ქალების ოთხკლასიან სასწავლებლათ.

პროგიმნაზიის

კურსით. მოსწავლეთა გამოცდა უნცროს და უფროს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 10 დან 30 სეკტემბრამდე. ეგზამენები იქმნება ყოველ დღე, ნაშუადღევის 2 საათამდის. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 50 მანეთი წელიწადში. (3—2)

კბილის ექიმი

ალექსანდრე სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. მიხეილის ქუჩა № 32. (10—3)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა

Доз. ценз. Тифлисъ, 19 Сентября 1898 г. Тип. М. Д. Ротиньянца—სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.